



საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში  
დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის  
მდგომარეობის შესახებ

## სარჩევი

შესავალი .....	4
1. თანასწორობის უფლება ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე .....	6
1.1. სავალდებულო კარანტინის დაწესება მოქალაქეობის ნიშნით.....	7
1.2. ასაკობრივი შეზღუდვა.....	8
1.3. რელიგიური გაერთიანებების გადაადგილების თავისუფლება.....	9
1.4. სექსუალური შევიწროება .....	10
2. ქალთა თანასწორუფლებიანობა .....	11
2.1. სექსუალური შევიწროება .....	11
2.2. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები.....	13
2.3. შვებულება ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო.....	15
3. შეზღუდული შესაძლებლობა .....	18
3.1. ცვლილებები კანონმდებლობაში .....	19
3.2. ფიზიკური მისაწვდომობა .....	21
3.3. უარი გონივრულ მისადაგებაზე განათლების უფლების კონტექსტში .....	22
3.4. სოციალური პაკეტით და ასაკის გამო პენსიით ერთობლივად სარგებლობის პრობლემა 24	
4. რელიგია.....	26
4.1. აბიტურიენტების რელიგიური საჭიროებების გაუთვალისწინებლობა .....	26
4.2. იეჰოვას მოწმეთა რელიგიური ორგანიზაციის პრობლემები მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესში .....	27
5. ეროვნება.....	28
5.1. დაბრკოლებები საბანკო მომსახურების მიღებისას .....	29
5.2. კანონიერი მემკვიდრისთვის საკუთრების უფლების შეზღუდვა მოქალაქეობის ნიშნით...29	
6. ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობა .....	30
6.1. ჰომოფობიურ ნიადაგზე ჩადენილი სამართალდარღვევები .....	31
6.2. ტრანსგენდერი პატიმრის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე.....	32
6.3. საბინაო სფეროში ლგბტ+ ადამიანების დისკრიმინაცია.....	33
7. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში.....	34
7.1. სამუშაო ადგილზე შევიწროება .....	34

7.2. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში მედიის თანამშრომლების მიმართ .....	36
7.3. დისკრიმინაციული ვაკანსიები .....	37
8. თანასწორობა სოციალური უფლებებით სარგებლობისას .....	39
8.1. სახელმწიფო სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით სარგებლობის საკითხი საქართველოში მუდმივი ბინადრობის მქონე პირებისთვის.....	39
8.2. მუნიციპალური სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპთან .....	40
8.3. ანაზღაურების გარეშე სტაჟირების დისკრიმინაციული პრაქტიკა .....	43
9. დისკრიმინაციის წახალისება.....	44
9.1. დისკრიმინაციის წახალისება საჯარო პირების მიერ.....	45
9.2. დისკრიმინაციის წახალისება მედიაში .....	48
10. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ხარვეზები.....	49
11. სახალხო დამცველის საქმიანობა თანასწორუფლებიანობის დაცვის მიმართულებით .....	51
11.1 საქმისწარმოება .....	52
11.2. გადაწყვეტილებები .....	54
დასკვნა .....	58
რეკომენდაციები.....	59

## შესავალი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო. კანონით, საქართველოს სახალხო დამცველი და სასამართლო თანასწორობის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებად განისაზღვრა. 2019 წელს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა: სახალხო დამცველის მანდატი კერძო პირებზე საჯარო უწყებების მსგავსი სამართლებრივი რეგულირებით გავრცელდა - ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება დაეკისრათ;<sup>1</sup> რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, კერძო სამართლის იურიდიული პირის წინააღმდეგ სასამართლოში იდავოს;<sup>2</sup> დისკრიმინაციის საქმეებზე სასამართლოსთვის მიმართვის ვადა 3 თვიდან 1 წლამდე გაიზარდა;<sup>3</sup> შევიწროება და სექსუალური შევიწროება კი დისკრიმინაციის ფორმებად განისაზღვრა.<sup>4</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, *საქართველოს სახალხო დამცველი წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს და აქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ*. წინამდებარე დოკუმენტით საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნულ საკითხზე რიგით მე-6 ანგარიშს წარმოადგენს, რომელიც 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს.

2020 წლის განმავლობაში, თანასწორობის უფლების ეფექტიან რეალიზებაზე, რა თქმა უნდა, ახალ კორონავირუსთან დაკავშირებულმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა. პანდემიით გამოწვეული ობიექტური დაბრკოლებების მიღმა, ასევე ვხვდებით მთავრობის მიერ დაწესებულ რეგულაციებს, რომელიც სხვადასხვა ჯგუფებს უთანასწოროდ მიემართებოდა. მაგალითად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საქართველოში შემოსვლისას სავალდებულო კარანტინის მოქალაქეობის მიხედვით განსაზღვრამ საზოგადოებაში მრავალი კითხვა გააჩინა. ასევე, პანდემიის ფონზე, საჯარო სივრცეში, კეთდებოდა ეთნიკური წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობის და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამები. ამასთან, პანდემიასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამო, სახალხო დამცველი მოკლებული იყო შესაძლებლობას, თანასწორობის პრინციპის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, საგანმანათლებლო საქმიანობა სათანადოდ გაეწია.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობაში - „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით, *უარი გონივრულ მისადაგებაზე შეზღუდული შესაძლებლობის*

<sup>1</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ“ პუნქტი; მუხლი 24.

<sup>2</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> „თ“ პუნქტი.

<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>4</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-3<sup>1</sup> და მე-3<sup>2</sup> პუნქტები.

საფუძველზე დისკრიმინაციის ფორმად განისაზღვრა, ასევე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. თანასწორობის უფლების დაცვის მიმართულებით, არსებითი ცვლილებები შევიდა შრომის კანონმდებლობაში. ამ ამხრივ, მნიშვნელოვანია შრომის კოდექსში შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხების ცალკე თავად გამოყოფა და დეტალური რეგლამენტირება.

ასევე, კანონის ახალი რედაქციით, პირდაპირ დადგინდა დამსაქმებლის ვალდებულება, ქალი და მამაკაცი დასაქმებულების მიერ თანაბარი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში, უზრუნველყოს მათთვის თანაბარი შრომის ანაზღაურება. გარდა ამისა, განისაზღვრა შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობთან დაკავშირებული იმ კონკრეტული საკითხების (შერჩევის კრიტერიუმები, დასაქმების პირობები, კვალიფიკაციის ამაღლების ხელმისაწვდომობა და სხვ.) არაამომწურავი ჩამონათვალი, რომლებზეც თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება, მკაფიოდ განისაზღვრა, აგრეთვე, მტკიცების ტვირთის განაწილებისა და გონივრული მისადაგების პრინციპები. ამასთანავე, დამსაქმებელს სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების ვალდებულება დაეკისრა. ამავე ცვლილებებით, გარკვეულწილად, გაუმჯობესდა ორსული ქალებისთვის შრომითი გარანტიები და ორსულობის, მშობიარობის და ზავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის პირობები.

სამწუხაროდ, გაუთვალისწინებელი დარჩა სახალხო დამცველის შეთავაზება,<sup>5</sup> დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების შესრულების შემოწმებისას, შრომის ინსპექციის მანდატი დასაქმების ადგილზე თანასწორობის მხრივ ზოგადი პოლიტიკის შეფასებით შემოფარგლულიყო და სავარაუდო დისკრიმინაციის ინდივიდუალური შემთხვევის აღმოჩენის შემთხვევებისთვის ფაქტის სახალხო დამცველთან რეფერირების მექანიზმი დადგენილიყო. სახალხო დამცველის შეფასებით, კანონის ახალი რედაქციით შრომის ინსპექციისთვის დისკრიმინაციის საქმეების განხილვის უპირობო მანდატის მინიჭება უარყოფითად აისახება თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებით თანმიმდევრული ეროვნული სტანდარტების დადგენის პროცესზე, ვინაიდან ეს, საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის, როგორც თანასწორობის მექანიზმის, უფლებამოსილებებთან დუბლირებას და, კონკრეტულ შემთხვევებში, განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების საფრთხეს გამოიწვევს.

გასაკვირი არ არის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებმა თანასწორობის პოლიტიკის და ერთიანი ხედვის შესამუშავებლად, დაუცველ ჯგუფებზე მორგებული გარემოს შესაქმნელად და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, ვერც ამ საანგარიშო პერიოდში მოიცალეს. უთანასწორობის სისტემურ პრაქტიკებთან ბრძოლის ნაცვლად, დღის წესრიგში, ძირითადად, კვლავ დისკრიმინაციის ინდივიდუალური შემთხვევების აღმოფხვრის აუცილებლობა დგებოდა.

ამის ფონზე, სამწუხაროდ, ლგბტ+ თემსა და აქტივისტებზე თავდასხმის არაერთ ინციდენტს წელსაც ჰქონდა ადგილი; პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების დაწესებისას, მთავრობა, არადომინანტურ რელიგიურ გაერთიანებებს, ყოველ ჯერზე, არათანაბარ მდგომარეობაში

<sup>5</sup> საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/6aqtgZ>

აყენებდა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ასევე, რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელ აბიტურიენტებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას, მათ საჭიროებებზე მორგებულ გარემოსა და პირობებზე ხელმისაწვდომობის მხრივ, დაბრკოლებები შეექმნათ; საჯარო სამსახურსა და კერძო დასაქმების ადგილებზე კი, შევიწროების და სექსუალური შევიწროების შემთხვევები ამ საანგარიშო პერიოდშიც მრავლად გვხვდებოდა. ამ საანგარიშო პერიოდში ასევე პრობლემურად გამოიკვეთა განსხვავებული მოსაზრების გამო მედიის წარმომადგენლების შრომითი უფლებების შეზღუდვა. ამასთანავე, კვლავ არ გადადგმულა ნაბიჯები სახელმწიფო თუ მუნიციპალური სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების თანასწორობის პრინციპთან მისასადაგებლად; სექსისტური, ჰომო/ტრანსფობიური, ქსენოფობიური თუ სხვა სახის დისკრიმინაციული გამონათქვამები საჯარო სივრცეებში წელსაც აქტიურად ისმოდა; ასევე, გარკვეული გაუმჯობესების მიუხედავად, გამოწვევები რჩება სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის, მათ შორის, სიძულვილის მოტივის გამოვლენის მხრივ.

დადებითი ტენდენციაა, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირების მხრიდან სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზარდილია. ამ საანგარიშო პერიოდში, ფიზიკური პირების და კერძო სექტორის მიმართ გაცემული რეკომენდაციების/ზოგადი წინადადებების 36% გაიზარეს მოპასუხებმა. საჯარო სექტორის მიერ შესრულების/გაზიარების მაჩვენებელი კი 50%-ია.

თანასწორუფლებიანობის მხრივ, ყველაზე მეტი დაბრკოლება ამ საანგარიშო პერიოდშიც ქალებს, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, ლგბტ+ თემის წევრებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ექმნებოდათ.

## 1. თანასწორობის უფლება ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე

ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული ვითარება უარყოფითად აისახა ცალკეული ჯგუფების თანასწორუფლებიანობაზე. ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გატარებული ღონისძიებები, რიგ შემთხვევებში, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდა ცალკეულ პირებს.

საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული ზოგიერთი რეგულაცია შეეხებოდა კონკრეტული მოქალაქეობის და ასაკის მქონე ადამიანებს, რამაც, პრაქტიკაში, არსებითად თანასწორი პირების უფლებების შესაძლო შეზღუდვა გამოიწვია. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას კონკრეტული 5 სახელმწიფოს მოქალაქეების გარდა, ყველა პირი, საქართველოს მოქალაქეების ჩათვლით, სავალდებულო კარანტინს ექვემდებარებოდა; საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში კი, სახლის დატოვება, საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, ეკრძალებოდათ 70 წელს მიღწეულ პირებს.

გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვის მოქმედებისას, არათანაბარი მოპყრობა გამოიკვეთა ასევე რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ დღესასწაულების აღნიშვნასთან მიმართებით. ამას გარდა, საანგარიშო პერიოდში სახალხო



დამცველმა, საკარანტინე სივრცეში, ექიმის მხრიდან სექსუალური შევიწროების ჩადენის შემთხვევა დაადგინა.

ამასთან, საგანგაშო იყო დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამები, მათ შორის, საზოგადოების ნაწილის მხრიდან გამოხატული აგრესიული დამოკიდებულება ეთნიკურ ნიადაგზე, როდესაც პანდემიის საწყის ეტაპზე, აზერბაიჯანულენოვანი თემის წარმომადგენელს ახალი კორონავირუსი დაუდასტურდა, მარნეული და ბოლნისი კი საკარანტინე ზონებად გამოცხადდა. ამ საკითხს, დეტალურად, წინამდებარე ანგარიშის მე-9 თავში მიმოვიხილავთ.

### 1.1. სავალდებულო კარანტინის დაწესება მოქალაქეობის ნიშნით

პანდემიის პირობებში საქართველოს ტერიტორიაზე შემომსვლელთათვის წესების შემუშავებისას მთავარი კრიტერიუმები დაკავშირებული იყო ეპიდსიტუაციასა და ეკონომიკურ მდგომარეობებთან. ამ პროცესში, რეგულაციები, არაერთხელ შეიცვალა. საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრებოდა, რომ საქართველოს მოქალაქეებს (ასევე სხვა ქვეყნების მოქალაქეებს ან/და მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირებს) საქართველოში შემოსავლისას უნდა გაეკლოთ სავალდებულო 12-დღიანი<sup>6</sup> კარანტინი<sup>7</sup>, რაც ზღუდავს შესაბამისი პირების თავისუფლების უფლებას. თუმცა, სავალდებულო კარანტინის შესახებ მოთხოვნა არ მიემართებოდა ევროკავშირის ხუთი ქვეყნის - გერმანიის, საფრანგეთის, ლატვიის, ლიეტუვის და ესტონეთის მოქალაქეებსა და მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირებს (მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებს).<sup>8</sup>

ამგვარი მიდგომის ზოგად მიზეზად დასახელდა რამდენიმე გარემოება: ვირუსის სწორი, ეფექტიანი მართვა და ეკონომიკის სწრაფი აღდგენა. ნორმატიული აქტები მიუთითებდნენ, რომ ევროკავშირის შესაბამისი ხუთი ქვეყნის მიმართ დაწესებული შეზღუდვების ხასიათს ორი ფაქტორი განაპირობებდა: ნაცვალგების პრინციპი და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა. აღსანიშნავია ე.წ. ოჯახური კლასტერების საკითხი. საქართველოს მოქალაქეებისთვის სავალდებულო კარანტინის შესახებ რეგულაციის შემოღების მიზეზად ასევე დასახელდა ე.წ. ოჯახური კლასტერების თავიდან აცილებით ეპიდემიის გავრცელების რისკების შემცირება.

ეს რეგულაციები ეფუძნება ცვლად კრიტერიუმებს, ამასთანავე, მას არ აქვს მხოლოდ სამართლებრივი განზომილება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად ლეგიტიმურია მოქალაქეობის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა, მაშინ როდესაც საკითხი ეხება თავისუფლების

<sup>6</sup> საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 სექტემბრის დადგენილების შედეგად, ეს ვადა 8 დღემდე შემცირდა (გარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული პირებისა, არსებობს გამონაკლისებიც). საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს დადგენილების ამოქმედებამდე კი ეს ვადა 14 დღით განისაზღვრებოდა. იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება №577 „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (2020 წლის 14 სექტემბერი); საქართველოს მთავრობის №495 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (2020 წლის 12 აგვისტო).

<sup>7</sup> საქართველოს მთავრობის №322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი (2020 წლის 23 მაისი).

<sup>8</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი №GOV 9 20 00031304 (2020 წლის 31 ივლისი).

უფლების შეზღუდვას, სავალდებულო კარანტინის დაწესების გზით, რაც, თავის მხრივ, ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას ისახავს მიზნად. თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის წარდგენილ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში<sup>9</sup> სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია იმის შეფასება, რამდენად გამოსადეგია განსხვავებული - უფრო მსუბუქი ან მკაცრი რეგულაციების დაწესება მხოლოდ მოქალაქეობის მიხედვით. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია სასამართლომ იმსჯელოს, რამდენად იძლევა განსხვავებული რეგულაციები საქართველოს მთავრობის მიერ დასახელებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას იმისათვის, რათა ამუშავდეს ეკონომიკა (პირის საქართველოში ჩამოსვლის მიზნის და ხანგრძლივობის შეუფასებლად, ე.წ. ოჯახური კლასტერების კონტროლის ხარჯზე); შენარჩუნდეს საზოგადოებრივი წესრიგი და ჯანმრთელობა; დაცული იყოს დასახელებულ ხუთ სახელმწიფოსთან ორმხრივი შეთანხმება (ნაცვალგების პრინციპი).

## 1.2. ასაკობრივი შეზღუდვა

ახალი კორონავირუსის პანდემიის პერიოდში პრობლემური იყო საქართველოს მთავრობის მიერ ხანდაზმულ ადამიანებთან მიმართებით გატარებული ღონისძიებებიც. ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის<sup>10</sup> მოქმედების პერიოდში, 70 წლისა და მეტი ასაკის პირებს აეკრძალათ ფაქტობრივი/რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის დატოვება. გამონაკლისი დაწესდა პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის დატოვებაზე ისეთი სამედიცინო მომსახურების მისაღებად, რომელსაც საცხოვრებელ ადგილზე ვერ მიიღებდა, აგრეთვე, საცხოვრებელი ადგილის დატოვებაზე სურსათისა და სამედიცინო/ფარმაცევტული პროდუქტის შესაძენად.<sup>11</sup>

ხანდაზმული ადამიანებისთვის გადაადგილების შეზღუდვის მსგავსი ფორმით დაწესების პირობებში, სახელმწიფომ ფაქტობრივად უგულებელყო ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ მხოლოდ ასაკი მიიჩნია ხანდაზმულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების ინდიკატორად და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ასაკი სტატისტიკურად დაკავშირებულია ავადობის მაღალ მაჩვენებელთან, ცალკეულ პირთა ინდივიდუალური მდგომარეობა, შესაძლოა, იმდენად განსხვავდებოდეს არსებული ტენდენციისგან, რომ მხოლოდ ასაკი არასწორი ინდიკატორი აღმოჩნდეს.

<sup>9</sup> სახალხო დამცველმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავალდებულო კარანტინის დაწესებასთან დაკავშირებით სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა. ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/lrvzib>

<sup>10</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტი, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“.

<sup>11</sup> საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 მარტის დადგენილება №204 „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მუხლი 5<sup>1</sup>



### 1.3. გადაადგილების თავისუფლება რელიგიურ და საერო დღესასწაულებზე

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2020 წლის 17 აპრილიდან 21 აპრილის ჩათვლით აიკრძალა მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილება. ამავე დღეს, საქართველოს საპატრიარქომ, სასულიერო პირთათვის გამონაკლისის დაუშვებლობის გამო უკმაყოფილების გამომხატველი განცხადება გაავრცელა. მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციით, მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირებისათვის დაიშვა გამონაკლისი. მოგვიანებით, მოთხოვნის საფუძველზე, საშვები გაიცა სხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებზე, თუმცა, ეს პროცესი წარიმართა სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობით, რამდენადაც, რიგ შემთხვევებში, ნებართვის გაცემას თან ახლდა გარკვეული ხარვეზები.<sup>12</sup>

გარდა ამ შემთხვევისა, სახალხო დამცველი 2020 წლის 27 ნოემბერს გამოეხმაურა საქართველოს მთავრობის მიერ ახალ კორონავირუსთან დაკავშირებულ რეგულაციებს, რომელიც 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მათ შორის, 21:00 საათის შემდეგ გადაადგილების და საჯარო სივრცეში ყოფნის აკრძალვას გულისხმობს და, შესაძლოა, არადომინანტი რელიგიური გაერთიანებების მიმართ დისკრიმინაციული იყოს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შეზღუდვა არ გავრცელდება შობის - 6 იანვრის ღამეს, ამავე პერიოდში სხვა რელიგიური გაერთიანებების დღესასწაულები კი, რომლებიც, შესაძლოა, ასევე ღამისთევით აღინიშნებოდეს, მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში მოხსენიებული არ არის.

მსგავსი უთანასწოროდ შემზღუდავი რეგულაციების გაგრძელება იყო საქართველოს მთავრობის უარი აზერბაიჯანული თემის და აქტივისტების მოთხოვნაზე, 2021 წლის 21 მარტს, ნოვრუზ - ბაირამზე, დროებით მოეხსნა ღამის საათებში გადაადგილების შეზღუდვა, რათა საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანულ მოქალაქეებს დღესასწაული შეუფერხებლად აღენიშნათ. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ დასახელებული - ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზანი, თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში არის საყოველთაო დღესასწაულების თუ ფეხბურთის მატჩის დროს შეზღუდვის მოხსნის პრაქტიკა, რასაც ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინება არ მოჰყოლია.<sup>13</sup>

მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციები თანაბრად მიემართებოდეს ყველა რელიგიურ გაერთიანებას თუ ჯგუფს, რათა მათ თანასწორ საფუძველზე შეძლონ რელიგიის თავისუფლების და თავისუფალი განვითარების უფლების რეალიზება. რომელიმე ჯგუფისთვის უპირატესობის დაუსაბუთებლად მინიჭებით, ბუნდოვანი რჩება სხვა გაერთიანებებისთვის ამავე უფლების ჩამორთმევის მიზანშეწონილობა. აუცილებელია,

<sup>12</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად კი, ოპერაციულ შტაბს, გადაადგილების ნებართვის მიღების მიზნით რელიგიურ კონფესიათა 15-მა წარმომადგენელმა მიმართა. ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე ნებართვა გაიცა 234 პირზე, მათ შორის, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს 202 წარმომადგენელზე.

<sup>13</sup> საქართველოს სახალხო დამცველის საჯარო განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/7cZZ5Sm>

საქართველოს მთავრობამ განიხილოს ზემოაღნიშნული წესიდან გამონაკლისის დაწესების შესაძლებლობა იმ დღესასწაულებზე, რომელთა აღნიშვნაც ღამისთევას ითვალისწინებს.

#### 1.4. სექსუალური შევიწროება

ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით საკარანტინე სივრცეებში მყოფი ქალების მიმართ გამოვლენილი სექსუალური შევიწროების ფაქტი. საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა ექიმის მხრიდან კარანტინში მყოფი ქალის მიმართ სექსუალური შევიწროების ფაქტი დაადგინა.<sup>14</sup> საქმის შესწავლამ პრობლემურ საკითხად გამოავლინა სპეციალური გაიდლაინების არარსებობა, რომლებშიც გაწერილი იქნებოდა ექიმების მხრიდან კარანტინში განთავსებული პირების შემოწმების პროცედურები.

სამედიცინო საქმიანობის გაწევისას სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურებისას სახალხო დამცველმა სამედიცინო მომსახურების გაწევის სპეციფიკაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ პაციენტი არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას ექიმების კომპეტენციის საზღვრებზე. ამასთანავე, ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობა ნდობაზეა დაფუძნებული და, ხშირად, თანხმობა მოპოვებულია პაციენტების ნდობის ბოროტად გამოყენებით. სამწუხაროდ, შემავიწროებელმა პროფესიული მდგომარეობით ისარგებლა და შეცდომაში შეიყვანა პაციენტები, რაც საკმაოდ მარტივი იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსხვერპლს არ ჰქონია სამედიცინო განათლება და იმყოფებოდა კარანტინში უცხო ქალაქში, რაც მას კიდევ უფრო დაუცველს ხდიდა.

მოცემულ შემთხვევაში, ექიმის ქცევა ვერბალურ, არავერბალურ და ფიზიკური სახის სექსუალური ხასიათის ქმედებაში გამოიხატა, რამაც კარანტინში მყოფ ქალს დამამცირებელი და დამაშინებელი გარემო შეუქმნა. ექიმთან, რომელიც კარანტინში მყოფ მოქალაქეებს ამოწმებდა, ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, ხოლო მისი გადამზადება ააიპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა“ უზრუნველყო. შესაბამისად, სახალხო დამცველმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და ააიპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს მიმართა, რათა გადადგან პროაქტიული ნაბიჯები, მათ შორის, სექსუალური შევიწროების შიდა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით; ამავე ორგანიზაციებს სახალხო დამცველმა მოუწოდა, დაკონტრაქტებული ან/და დასაკონტრაქტებელი ექიმებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია სექსუალური შევიწროების დაუშვებლობასთან დაკავშირებით.

მისასალმებელია, რომ რეკომენდაციის გაცემის შემდეგ სახალხო დამცველს მოპასუხებისგან ეცნობა, რომ აქტიურად დაიწყო შესაბამისი ინფორმაციის/რეკომენდაციების გაცემა საკარანტინე სივრცეებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მიმართ. ასევე, სსიპ სოციალური

---

<sup>14</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 29 ივნისის რეკომენდაცია ნ.ბ.-ს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2J8kJXJ>

მომსახურების სააგენტო შეუდგა სექსუალური შევიწროების შიდა პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებას, და ამ ორიცესში მას სახალხო დამცველის აპარატიც უწევს კონსულტაციას.

## 2. ქალთა თანასწორუფლებიანობა

ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ არაერთი სფერო რჩება, რომელიც ვერ ხედავს ქალების საჭიროებებს და უთანასწორო გარემოს უქმნის მათ. წელს სექსუალური შევიწროების პრობლემა კვლავ აქტუალური იყო და, ძირითადად, დასაქმების ადგილას და სამედიცინო მომსახურების მიღებისას გამოვლინდა. ამასთანავე, 2019 წელს სექსუალური შევიწროების საკანონმდებლო რეგულაციის შემდეგ სახალხო დამცველისადმი მომართვიანობამ, გარკვეულწილად, მოიმატა.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები კვლავ საკანონმდებლო დაბრკოლებას აწყდებიან დადგენილი ვადის მიღმა ორსულობის შეწყვეტისას. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა დისკრიმინაციული პრაქტიკა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისას, რამდენადაც, გარკვეულ შემთხვევებში, მათ არ ეძლევათ ქალი ექსპერტის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ „შრომის კოდექსის“ ცვლილებების შედეგად, ერთმანეთისგან გაიმიჯნა შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო და შვებულება ბავშვის მოვლის (ე. წ. დეკრეტული შვებულება) გამო. კანონის ძველი რედაქცია შვებულებით სარგებლობისთვის ერთმანეთისგან გაუმიჯნავდა, კუმულატიურად მოითხოვდა სამი წინაპირობის (ორსულობა, მშობიარობა და ბავშვის მოვლა) არსებობას, რაც შესაბამისი შრომითი უფლებით სარგებლობიდან დისკრიმინაციულად გამორიცხავდა სუროგატ დედას და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დედას. ასევე, შესაძლებელი გახდა ორსულობისა და მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების დღეების გადანაწილება ბავშვის დედასა და მამას შორის. სამწუხაროდ, ცვლილება არ შეხებია კერძო სექტორში ე.წ. დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საკითხს და, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ 1000 ლარის ოდენობის დახმარების მიღმა, ხელფასის დანარჩენი ნაწილის ანაზღაურება კვლავ დამსაქმებელზეა დამოკიდებული.

### 2.1. სექსუალური შევიწროება

2019 წელს, სექსუალური შევიწროების აკრძალვის მიმართულებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში - ამკრძალავი ნორმები გაჩნდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს ორგანულ კანონში - „შრომის კოდექსი“. ამასთანავე, 2020 წელს შრომის კანონმდებლობაში შესული ცვლილებების ფარგლებში, „შრომის კოდექსით“ დამსაქმებელს სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების ვალდებულება დაეკისრა.<sup>15</sup>

<sup>15</sup> „შევიწროების ან/და სექსუალური შევიწროების სამართალდამრღვევი დასაქმებულისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება დამსაქმებელს არ ათავიუფლებს შესაბამისი პასუხისმგებლობისგან. დამსაქმებელს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, თუ მისთვის ცნობილი გახდა შევიწროების ან/და სექსუალური შევიწროების ფაქტი და მან ამ ფაქტის შესახებ არ შეატყობინა შრომის ინსპექციას ან/და არ მიიღო შესაბამისი ზომები აღნიშნული ქმედების

ასევე, 2019 წლის ცვლილებებით კანონმდებელმა საჯარო სივრცეში ჩადენილი სექსუალური შევიწროება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166<sup>1</sup> მუხლით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მოიაზრა და მასზე რეაგირების მანდატი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე გაავრცელა. კანონმდებლის მიერ საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფენომენის დამოუკიდებლად განხილვა და რეგულირება ცალსახად პოზიტიური ცვლილებაა, თუმცა, ამავე დროს, მნიშვნელოვანია, პრაქტიკაში მისი ეფექტიანად აღსრულება. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში პრობლემური იყო საჯარო სივრცეში ჩადენილ სექსუალური შევიწროების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირება. გარდა იმისა, რომ პოლიციელებმა ვერ შეძლეს სავარაუდო სექსუალური შევიწროების გამოვლენა, მოახდინეს სავარაუდო მსხვერპლის მეორედი ვიქტიმიზაცია - ქალი იძულებული გახდა, უცხო ენაზე, რამდენიმე საათის განმავლობაში, რამდენჯერმე, სხვადასხვა საპატრულო ეკიპაჟისთვის მოეყოლა მომხდარის შესახებ, პოლიციის განყოფილებასა და ქუჩაში, მათ შორის, უცხო ადამიანების თანდასწრებით.<sup>16</sup>

საგულისხმოა, რომ სექსუალური შევიწროების კანონით პირდაპირ აკრძალვის შემდეგ, სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა გაიზარდა. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეები, მათ შორის, შეეხებოდა შრომით ურთიერთობასა და სამედიცინო სფეროში გამოვლენილი სექსუალური შევიწროების ფაქტებს. სამედიცინო სფეროს წარმომადგენლის მხრიდან სექსუალური შევიწროების ერთ-ერთ შემთხვევას საკარანტინე სასტუმროში ჰქონდა ადგილი.<sup>17</sup> სხვა საქმეში, გასტროენტეროლოგიური პრობლემების გამოკვლევის მიზნით, ვიზიტის დროს, ექიმმა განმცხადებლებს სარძევე ჯირკვლები შეუმოწმა.<sup>18</sup>

ასევე, წინასაარჩევნო პერიოდში, დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი, ანა დოლიძე, მიუთითებდა, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით, ორგანიზებული ჯგუფები, მუდმივად ესხმიან თავს როგორც ქალს და პოლიტიკოსს, ასევე ემუქრებიან მოკვლით და განადგურებით. სახალხო დამცველმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის მნიშვნელობაზე. იმ პირობებში, როდესაც საქართველოში ქალთა თანასწორუფლებიანობა და ქალთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთ გამოწვევად რჩება, პოლიტიკურად და სოციალურად აქტიური ქალებისათვის მტრული გარემოს შექმნა მათ ბარიერს უქმნის თავიანთი პოლიტიკური საქმიანობის სრულყოფილად, თავისუფლად და უსაფრთხოდ წარმართვაში. ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი გარემოსთვის კი უმნიშვნელოვანესია, საჯარო სივრცე

---

აღსაკვეთად“ საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“, 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის შენიშვნა (ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან)

<sup>16</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 22 იანვრის რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/360FPLH>

<sup>17</sup>სახალხო დამცველის 2020 წლის 29 ივნისის რეკომენდაცია ნ.ბ.-ს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2J8kJSX>

<sup>18</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 13 აპრილის რეკომენდაცია ი.ბ.-ს და სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fwhZum>



თავისუფალი იყოს მტრული გარემოსგან და არ ისახავდეს მიზნად პირის დამცირებას, მუქარასა თუ შეურაცხყოფას.

სამედიცინო საქმიანობის გაწევისას სექსუალური შევიწროების ფაქტებთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, შემავიწროებელი სარგებლობს პროფესიული მდგომარეობით და შეცდომაში შეჰყავს პაციენტი - მას განუმარტავს, რომ კონკრეტული ფიზიკური შეხება თუ პირადი ხასიათის კითხვის დასმა მის სათანადოდ მკურნალობას ემსახურება. ამ მხრივ, მსხვერპლის დარწმუნება საკმაოდ მარტივია, რამდენადაც, უმეტეს შემთხვევაში, მსხვერპლს არ აქვს სამედიცინო განათლება, არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას ექიმების კომპეტენციის საზღვრებისა და პროცედურების საჭიროების შესახებ, რაც მას კიდევ უფრო დაუცველს ხდის. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, მსხვერპლი ქალები სექსუალური შევიწროების ყველაზე მეტ ფაქტზე შრომით ურთიერთობებში მიუთითებდნენ.<sup>19</sup> შევიწროება ძირითადად ვლინდებოდა შემავიწროებლის მიერ ვერბალურ, არავერბალურ და ფიზიკური სახის ქმედებაში - არასასურველი პირადი ხასიათის კითხვებში/კომენტარებში; სამუშაოს შესრულების საბაზით, საცურაო კოსტიუმის ჩაცმის მოთხოვნაში; სექსუალური კავშირის შეთავაზებაში; მსხვერპლის სხეულის ინტიმურ ადგილებზე შეხებასა და სხვ. ყველა შემთხვევაში, მსხვერპლებმა მხოლოდ სამსახურის დატოვების შემდეგ მიიღეს სამართლებრივი რეაგირების გადაწყვეტილება, ვინაიდან მათთვის სამუშაო გარემო შეურაცხმყოფელი და დამაშინებელი გახდა.

მნიშვნელოვანია, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, დამსაქმებლები, სახალხო დამცველის მიერ მათი დასაქმებულის წინააღმდეგ სექსუალური შევიწროების დადგენის შემთხვევაში, რეაგირებას ახდენენ - შემავიწროებელს სამსახურიდან ათავისუფლებენ ან სექსუალური შევიწროების ამკრძალავ დებულებებს შიდა რეგულაციებში ასახავენ.

ასევე, დადებითი ტენდენციაა, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, არაერთმა კერძო კომპანიამ პროაქტიულად გამოხატა სექსუალური შევიწროების პრევენციის შიდა ორგანიზაციული მექანიზმის დანერგვის სურვილი. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ჩართულობით, საჯარო დაწესებულებებშიც მიმდინარეობს სექსუალური შევიწროების შიდა უწყებრივი მექანიზმების დანერგვა. ეს ხელს შეუწყობს კონკრეტული ორგანიზაციების თანამშრომლების ინფორმირებას და დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების თავიდან აცილებას, ასევე, ორგანიზაციის ადმინისტრაციას შესაძლებლობას მისცემს, სავარაუდო შევიწროების შემთხვევა თავად განიხილოს.

## 2.2. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები

ქალთა თანასწორუფლებიანობის მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები არიან. კვლავ პრობლემურია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, ძალადობის შედეგად დამდგარი ორსულობის

---

<sup>19</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 13 აპრილის რეკომენდაცია დ.ა.-ს და შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/361kiCI>. ასევე იხ. სახალხო დამცველის 2020 წლის 13 აპრილის რეკომენდაცია ლ.ჯ.-ს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39bdjsE>

ხელოვნული შეწყვეტა მხოლოდ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ არის შესაძლებელი<sup>20</sup>, რამდენადაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ხანგრძლივობა, როგორც წესი, აღემატება ორსულობის ვადას. ამ ვითარებაში მყოფი ქალისთვის კი, ორსულობის შეწყვეტაზე უარი, შესაძლოა, ფსიქოემოციური სტრესის და სოციალური სტიგმის წყარო გახდეს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის ანგარიშის შესახებ დადგენილებით გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობის შედეგად დაორსულების შემთხვევაში, დასაფინანსებლად და ორსულობის შესაწყვეტად, საკმარისი იყოს სექსუალური ძალადობის საქმეზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი გამოძიება. მიუხედავად ამისა, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით იკვეთება, ცვლილებები ამ მიმართულებით არ იგეგმება.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მატრამვირებელ გარემოს ქმნის, სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ქალი ექსპერტების არასაკმარისი რაოდენობაა.<sup>21</sup> იმის მიუხედავად, რომ შესამოწმებელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს მის ბიუროს სხვა ფილიალში გადაყვანის ან იმავე სქესის მოწვევის აუცილებლობას<sup>22</sup>, ეს წესი პრაქტიკაში არ სრულდება.

როგორც სახალხო დამცველის ბოლოდროინდელმა კვლევამ გამოკვეთა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გავლა ხშირად ტრავმული პროცედურაა. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისას, რიგ შემთხვევაში, აწყდებიან არასენსიტიურ, ღირსების შემლახველ და გენდერულ სტერეოტიპებზე დამყარებულ მიდგომას, რაც აზიანებს მათ მონაწილეობას მართლმსაჯულების პროცესში და ახდენს მსხვერპლის მეორეულ ვიქტიმიზაციას. სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, ხშირად, ექსპერტიზაზე უარს ამბობენ ექსპერტების სქესის გამო. დაზარალებულებს არ აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ ექსპერტის სქესი, შესაბამისად, რიგ შემთხვევაში, საპირისპირო სქესის წარმომადგენლის მხრიდან მსგავსი ტიპის ექსპერტიზის ჩატარება დამატებითი სტრესის მომტანია. იკვეთება არაერთი შემთხვევა, როდესაც დაზარალებულებმა უარი განაცხადეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე, რის მიზეზადაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის სქესი დასახელდა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ სამედიცინო ექსპერტები მსხვერპლების მიმართ არასენსიტიურ ენას იყენებენ.<sup>23</sup>

<sup>20</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ 2014 წლის 7 ოქტომბრის №01-74/ნ ბრძანების №5 დანართი.

<sup>21</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 21 დეკემბრის რეკომენდაცია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/usm0tk>

<sup>22</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

<sup>23</sup> საქართველოს სახალხო დამცველის კვლევა „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში“, 2020, გვ. 37-38, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/uswdhi>



საკითხის პრობლემურობას ადასტურებს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან გამოთხოვნილი ინფორმაცია, რომლის თანახმად, ბიუროში დღესდღეობით, საქართველოს მასშტაბით, დასაქმებულია ჯამში 39 სამედიცინო ექსპერტი, საიდანაც მხოლოდ 9 არის ქალი. თბილისში დასაქმებული 20 ექსპერტიდან კი, მხოლოდ 8 არის ქალი. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა რეგიონებში, სადაც, ჯამში, დასაქმებული 19 სამედიცინო ექსპერტიდან მხოლოდ ერთია ქალი.<sup>24</sup>

აქვე, საყურადღებოა, რომ ყველა საქმეში, ექსპერტიზის დასკვნაში, შაბლონურად არის მითითებული, რომ ექსპერტიზა ტარდებოდა მშვიდ გარემოში, გართულებების გარეშე. ასეთი შაბლონური ჩანაწერი, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ტრავმული გამოცდილების გათვალისწინებით, კითხვებს ბადებს და ფორმალურ, შესაძლო გენდერულად არასენსიტიურ მიდგომაზე მიუთითებს.<sup>25</sup>

მნიშვნელოვანია სამხარაულის ეროვნული ბიუროს მიერ რეკომენდაციის საპასუხოდ მოწოდებული ინფორმაცია, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, ექსპერტიზის ჩატარებისას, დისკომფორტის თავიდან აცილების მიზნით, იგეგმება ქალი ექსპერტების დასაქმება, ხოლო იმ თანამშრომლებს, რომლებსაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის ექსპერტიზის ჩატარება ევალებათ, მსხვერპლთან კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ტრენინგი ჩაუტარდებათ. სახალხო დამცველის აპარატმა ამ პროცესში თანამშრომლობა ბიუროს უკვე შესთავაზა.

### 2.3. შვებულება ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო

2020 წელს ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების საკითხს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო.<sup>26</sup> შრომის კოდექსის ახალი რედაქციით, ერთმანეთისგან გაიმიჯნა შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო (126 კალენდარული დღის ოდენობით) და შვებულება ბავშვის მოვლის გამო (604 კალენდარული დღის ოდენობით).<sup>27</sup> კოდექსის ძველი რედაქცია შვებულებით სარგებლობისთვის ერთმანეთისგან გაუმიჯნავდა, კუმულატიურად მოითხოვდა სამი წინაპირობის (ორსულობა, მშობიარობა და ბავშვის მოვლა) არსებობას, რასაც სახალხო დამცველი მნიშვნელოვან ხარვეზად მიიჩნევდა, ვინაიდან მსგავსი მოწესრიგება შესაბამისი შრომითი უფლებით სარგებლობიდან დისკრიმინაციულად გამოირიცხავდა სუროგატ დედას და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დედას.<sup>28</sup> ამდენად, 730 კალენდარული დღის ოდენობით შვებულების ორ კომპონენტს შორის გადანაწილება ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს, რადგანაც ამ გზით გათვალისწინებულია სუროგატი დედის და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლების მიერ, შესაბამისად, ორსულობისა და მშობიარობისა და ბავშვის

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> “საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ 2020 წლის 29 სექტემბრის №7177-IX საქართველოს ორგანული კანონი, თავი VII.

<sup>27</sup> საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 37.

<sup>28</sup> იხ. დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 13-14.

მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის საკითხი. თუმცა ანალოგიური ცვლილებები არ შესულა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში. შესაბამისად, ამ კუთხით, პრობლემა კვლავ სახეზეა და სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს გაცემული რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.<sup>29</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომლებიც დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება: შესაძლებელი გახდა ორსულობისა და მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების დღეების გადანაწილება ბავშვის დედასა და მამას შორის;<sup>30</sup> ორსულ ქალს მიენიჭა სამუშაო დროის განმავლობაში, შრომის ანაზღაურების შენარჩუნებით, სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების უფლება;<sup>31</sup> მკაფიოდ განისაზღვრა დასაქმებულის უფლება, ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების დასრულების შემდეგ დაბრუნდეს იმავე სამუშაოზე იმავე შრომის პირობებით, და ისარგებლოს ნებისმიერი გაუმჯობესებული შრომის პირობებით იმის ფარგლებში, რისი მიღების უფლებაც მას ექნებოდა, შესაბამისი შვებულებით რომ არ ესარგებლა.<sup>32</sup> სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ეს სიახლეები ხელს შეუწყობს ე. წ. დეკრეტული შვებულების მიზნის - ორსულობის დროს ქალის ბიოლოგიური მდგომარეობის დაცვისა და მშობიარობის შემდგომ მშობელსა და ბავშვს შორის განსაკუთრებული ურთიერთობის ჩამოყალიბების შეუფერხებლად მიღწევას.

თუმცა, დამატებითი მოწესრიგების გარეშე დარჩა ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო საშვებულებო ანაზღაურების საკითხი. 2019 წელს ამ საკითხის შესწავლის შედეგების<sup>33</sup> თანახმად, კერძო სექტორში დასაქმებულთა მიერ შესაბამისი შვებულებით სარგებლობის კუთხით არსებულ პრობლემებს, მნიშვნელოვანწილად, სწორედ არსებული რეგულირება განაპირობებს, რომლის ფარგლებშიც, ანაზღაურებადი შვებულების მთელ პერიოდზე სახელმწიფოს მიერ გასაცემი ფულადი დახმარების ჯამური ოდენობა არაუმეტეს 1000 ლარით შემოიფარგლება.<sup>34</sup> ხოლო, შესაძლო დამატებით ანაზღაურებას კანონმდებელი დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შეთანხმების საგანს მიაკუთვნებს.<sup>35</sup> შედეგად, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობის, ანაზღაურების ოდენობისა თუ მისი მიღების წინაპირობები თითოეული კომპანიის შინაგანაწესით რეგულირდება, რის გამოც, ამ საკითხებთან დაკავშირებით დამსაქმებელთა პრაქტიკა განსხვავებულია და შესაბამისად, ყოველი კონკრეტული კერძო კომპანიის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.<sup>36</sup>

<sup>29</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, გვ. 184-185, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/60frrb>

<sup>30</sup> საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 37, პუნ. 4.

<sup>31</sup> იქვე, მუხ. 29.

<sup>32</sup> იქვე, მუხ. 20, პუნ. 8.

<sup>33</sup> იხ. დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 12-13.

<sup>34</sup> საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 39.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> იხ. დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 12-13.

აღსანიშნავია, რომ, შრომით ურთიერთობებში ქალთა თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დედისა და ბავშვის უსაფრთხოების დასაცავად, საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები ყურადღებას ამახვილებს ადეკვატური ანაზღაურების აუცილებლობაზე, რომელიც შესაძლებელს გახდის ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობის სათანადო პირობების შენარჩუნებას და ცხოვრების სათანადო დონით მათ უზრუნველყოფას.<sup>37</sup> ასეთად შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საკვანძო კონვენცია ანაზღაურებადი შვებულების პერიოდისთვის, ჯამური თანხის დაუწყებლად, განსაზღვრავს მატერიალურ დახმარებას არანაკლებ დასაქმებულის ხელფასის ორი მესამედის ოდენობით.<sup>38</sup> №92/85 ევროდირექტივა კი, რომლის დებულებების შესრულების ვალდებულება საქართველოს ნაკისრი აქვს ასოცირების შესახებ შეთანხმებით,<sup>39</sup> ადეკვატურ დახმარებას განიხილავს ხელფასის შენარჩუნების ალტერნატივად.<sup>40</sup> ორივე საერთაშორისო დოკუმენტი მოითხოვს, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს შემოსავალი, რომელიც ეკვივალენტური იქნება, სულ მცირე, იმ ანაზღაურებისა, რომელსაც დასაქმებული, კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღებდა დროებითი შრომისუუნარობის ან ავადმყოფობის პერიოდში.<sup>41</sup> ამასთანავე, კონვენცია ადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას, უზრუნველყონ, რომ ფულადი დახმარების მიღების წინაპირობების დაკმაყოფილება შეეძლოს ქალების უდიდეს უმრავლესობას.<sup>42</sup> თავის მხრივ, დირექტივა აკონკრეტებს, რომ აღნიშნული წინაპირობები არ უნდა სცდებოდეს მშობიარობამდე 12-თვიან პერიოდს.<sup>43</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ არცერთი ზემოთ ხსენებული ინსტრუმენტი არ ახდენს დაწესებული სტანდარტების დიფერენცირებას იმის მიხედვით, თუ რომელ სექტორშია (კერძო ან საჯარო) დასაქმებული ორსული ქალი/მშობელი.

საქართველოში, უახლესი (2020 წლის III კვარტალი) ოფიციალური მონაცემებით, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1240 ლარს შეადგენს.<sup>44</sup> შესაბამისად, შრომის კოდექსით დადგენილი მოწესრიგებით, ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების პერიოდზე (რაც ჯამურად დაახლოებით 6 თვეს შეადგენს) გასაცემი თანხის ოდენობა საერთაშორისო სტანდარტებს, ფაქტობრივად, გამოთვლის ვერცერთი მეთოდის მიხედვით ვერ აკმაყოფილებს.<sup>45</sup> შედეგად, დახმარების მცირე ოდენობისა და კერძო

<sup>37</sup> შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №183 დედობის დაცვის კონვენცია №183 (C183, 2000), პრეამბულა, მუხ. 6, პუნ. 2; საბჭოს 92/85/EEC დირექტივა ორსულ, ახალნაშობიარებ და მეძუძურ მუშაკთათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ, მუხ. 11, პუნ. 2(b)

<sup>38</sup> შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №183 დედობის დაცვის კონვენცია №183 (C183, 2000), მუხ. 6, პუნ. 3.

<sup>39</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, დანართი XXX.

<sup>40</sup> საბჭოს 92/85/EEC დირექტივა ორსულ, ახალნაშობიარებ და მეძუძურ მუშაკთათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ, მუხ. 11, პუნ. 2(b).

<sup>41</sup> იქვე, მუხ. 11, პუნ. 3; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №183 დედობის დაცვის კონვენცია №183 (C183, 2000), მუხ. 7, პუნ. 1.

<sup>42</sup> შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №183 დედობის დაცვის კონვენცია №183 (C183, 2000), მუხ. 6, პუნ. 5.

<sup>43</sup> საბჭოს 92/85/EEC დირექტივა ორსულ, ახალნაშობიარებ და მეძუძურ მუშაკთათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ, მუხ. 11, პუნ. 4.

<sup>44</sup> ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/zsom89shorturl.at/sLRW7>

<sup>45</sup> თუ შევადარებთ ევროდირექტივით შემოთავაზებულ ხელფასის შენარჩუნების მექანიზმს, დადგენილი თანხა (1000 ლარი), საშუალოდ, ერთი თვის განმავლობაშიც კი ვერ ჩაითვლება ხელფასის (1240 ლარი) შენარჩუნებად. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციით შემოთავაზებული მოდელის შესაბამისად კი, ჯამური თანხა დასაქმებულის ხელფასის ორი მესამედით (დაახლოებით 827 ლარი) ანაზღაურებას დააკმაყოფილებს მხოლოდ თვისა

დამსაქმებლების მიერ ხელფასის შენარჩუნების მზაობის არარსებობის პირობებში, ქალები, ხშირად, იძულებულნი ხდებიან, მხოლოდ მცირე პერიოდით ისარგებლონ ორსულობისა და მშობიარობისა თუ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით.<sup>46</sup> ამის გათვალისწინებით, კერძო სექტორში დასაქმებული ქალები დაცვის გაცილებით უფრო დაბალი სტანდარტით სარგებლობენ, ვიდრე - საჯარო მოსამსახურეები, რომელთათვისაც ანაზღაურება თანამდებობრივი სარგოს და საკლასო დანამატის გათვალისწინებით, ჯამური თანხის მაქსიმალური ოდენობის დაუწყებლად გაიცემა.<sup>47</sup>

ამდენად, ორსული და ახალნამშობიარები დასაქმებული ქალების თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, საბიუჯეტო რესურსისა და კერძო დამსაქმებლებზე ზეგავლენის სიღრმისეული შეფასების შედეგად, დაინერგოს ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების ახალი სისტემა, რომლის ფარგლებშიც, დახმარების/ანაზღაურების ოდენობა, წყარო და წინაპირობები განისაზღვრება იმგვარად, რომ კერძო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილნი იყვნენ საერთაშორისო რეგულაციებით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტებით და მათი მდგომარეობა, ამ ნაწილში, მაქსიმალურად დაუახლოვდეს საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა დაცვის ხარისხს.

### 3. შეზღუდული შესაძლებლობა

2020 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მხრივ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ღონისძიებები გატარდა - პარლამენტმა მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონი, რომელიც მნიშვნელოვან უფლებრივ გარანტიებს გვთავაზობს. ამ კანონის პარალელურად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში დისკრიმინაციის ფორმად გაიწერა *უარი გონივრულ მისადაგებაზე*. თუმცა, არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი კანონის რეგულირების მიღმა დარჩა.<sup>48</sup>

აღსანიშნავია, რომ მხედველობის პრობლემის მქონე პირების უფლებების სათანადო რეალიზების მხრივ, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, სახალხო

---

და რამდენიმე დღის პერიოდისთვის. შესაბამისობა ვერც ორივე საერთაშორისო ინსტრუმენტით შემოთავაზებული, დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევისთვის გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტის გამოყენების დროს მიიღწევა. მოქმედი კანონმდებლობით, დასაქმებულისთვის გასაცემი დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების საერთო თანხა განისაზღვრება საშუალო დღიური ხელფასის (შრომის ანაზღაურების) გამრავლებით მოცემულ თვეში გაცდენილ სამუშაო დღეთა რიცხვზე („დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანება, მუხ. 6, პუნ. 8). ამდენად, დასაქმებულს აუნაზღაურდება თანხა იმავე ოდენობით, რამდენსაც იგი, იმავე პერიოდში, შრომის ანაზღაურების სახით მიიღებდა იმ შეზღუდვით, რომ დროებითი შრომისუუნარობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადით 60 კალენდარულ დღეს (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 46, პუნ. 2 („ი“). იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი შვებულებების ჯამური პერიოდიც 6 თვეს უტოლდება, უპირანი იქნება სწორების 60 კალენდარულ დღეზე აღება, რის შედეგადაც, ჯამური დახმარება არსებულს 2.5-ჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს (საშუალო დღიური ხელფასის ნამრავლი 60 კალენდარულ დღეზე).

<sup>46</sup> დედობა და მშობლობა - საქართველოს დავიწყებული ვალდებულებები, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გვ. 3, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/3dtxcm>

<sup>47</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 64, პუნ. 2.

<sup>48</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 16 ივლისის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/nlolla>



დამცველის რეკომენდაციის<sup>49</sup> შესაბამისად, ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის შევსებისას ბრაილის შრიფტით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით ხელმისაწვდომობის შესახებ მომზადებულია ბრძანებაში<sup>50</sup> შესატანი ცვლილებები. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სახალხო დამცველის რეკომენდაციის შედეგად<sup>51</sup>, შესაძლებელი გახდა კანცელარიისთვის ბრაილის შრიფტით და სხვა ალტერნატიული ფორმებით შედგენილი განცხადებით მიმართვა.

სამწუხაროდ, პრაქტიკულად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობის მდგომარეობა არც მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესებულა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს კვლავ უწევთ ბრძოლა როგორც გარემოზე წვდომის, ისე სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სერვისით/მომსახურებით სხვა პირთა თანასწორად სარგებლობისთვის. წელს სმენის პრობლემის მქონე აბიტურიენტებს შეფერხება შეექმნათ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას, რამდენადაც მათ საჭიროებებზე მორგებული პირობები არ ყოფილა შექმნილი. დისკრიმინაცია გამოიკვეთა ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზეც. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა საპენსიო ასაკს მიღწეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციულად შეაფასა რეგულაცია, რომელიც გამორიცხავს ასაკის გამო პენსიითა და შეზღუდული შესაძლებლობის გამო სოციალური პაკეტით ერთდროულად სარგებლობას.

### 3.1. ცვლილებები კანონმდებლობაში

მიმდინარე საანგარიშო წელს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. 2020 წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“<sup>52</sup>, რომელიც ქვეყნის შიდა კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. კანონი გაეროს კონვენციის პრინციპებზე დაყრდნობით განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზების კუთხით. მიღებული დოკუმენტი საქართველოს მთავრობას აკისრებს ვალდებულებას - შეიმუშაოს და დაამტკიცოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; ასევე, შექმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო.

<sup>49</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 მაისის რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს, ხელმისაწვდომია: [shorturl.at/afqM1](http://shorturl.at/afqM1)

<sup>50</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანება

<sup>51</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, ხელმისაწვდომია: [shorturl.at/hsGHY](http://shorturl.at/hsGHY)

<sup>52</sup> კანონის 39-ე მუხლის თანახმად, კანონის მუხლები, გარდა IV თავით განსაზღვრული გარდამავალი და დასკვნითი დებულებებისა, ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან, ხოლო IV თავი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამ კანონით კიდევ ერთხელ განისაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის ხელმისაწვდომობის ძირითადი პრინციპები და მექანიზმები. კანონმა ეროვნულ საკანონმდებლო ბაზაში გააჩინა პრინციპი - უარი გონივრულ მისადაგებაზე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა. გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვით თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულება უშუალოდ განისაზღვრა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონითაც.<sup>53</sup> გონივრული მისადაგების ცნების საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირება, მნიშვნელოვანია, რამდენადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალება ექნებათ მომართონ როგორც სახალხო დამცველს, ისე სასამართლოს, ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს დისკრიმინაციის ამ სპეციფიკურ ფორმას. მართალია, გონივრულ მისადაგებაზე უარის, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის, ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში არარსებობას სახალხო დამცველისთვის არ შეუშლია ხელი რამდენიმე საქმეში ემსჯელა ამ პრინციპის უგულებელყოფაზე, როგორც დისკრიმინაციაზე, თუმცა, მისი საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირება, კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხრიდან უფლებების დაცვის საკითხს.

კანონპროექტის სხვადასხვა რედაქციასთან მიმართებით საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთგზის წარადგინა მოსაზრებები, როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, ისე საქართველოს პარლამენტში.<sup>54</sup> მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის რიგი რეკომენდაციებისა გაზიარებულია, კვლავ რჩება გარკვეული შეფასებები, რომელთა კანონში ასახვაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას.

სახალხო დამცველის შეფასებით<sup>55</sup>, კანონი კვლავ რეგულირების მიღმა ტოვებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთრების ფლობის და მემკვიდრეობის მიღების, საკუთარი ფინანსური საქმეების მართვის, საბანკო სესხებზე, იპოთეკურ, სხვა ფინანსურ კრედიტებზე თანაბარი წვდომის საკითხებს. ასევე, კანონით არ არის მკაფიოდ დარეგულირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციათა ჩართულობის ასპექტები. არასაკმარისია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით კანონით განსაზღვრული გარანტიები. კერძოდ, კანონი არ ითვალისწინებს თანამედროვე თემზე დაფუძნებული სერვისების დანერგვის ვალდებულებებს. განათლების უზრუნველყოფის ნაწილში კანონი არ ითვალისწინებს ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (ბავშვების) წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის ვალდებულებას -

<sup>53</sup> 2020 წლის 14 ივლისის საქართველოს კანონი „ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

<sup>54</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 10 მარტის წინადადება საქართველოს პარლამენტს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/fcnzis>

<sup>55</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 16 ივლისის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/nlolla>



როგორცაა, უწყებებს შორის კოორდინაცია, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და განათლების პროცესში ჩართვის მექანიზმების დანერგვა. ამასთანავე, კანონის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული ვადები საკმაოდ ხანგრძლივია და ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე არსებული სისტემური პრობლემების დროულ გადაწყვეტას, რაც განსაკუთრებით პრობლემურია შესაძლებლობის შეზღუდვის შეფასების ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვის მიმართულებით. გარდა ამისა, აუცილებელია კანონში სოციალურ უფლებებზე მეტი აქცენტის გაკეთება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათანადო საცხოვრისით და სოციალური პაკეტით უზრუნველყოფის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება.

### 3.2. ფიზიკური მისაწვდომობა

მიმდინარე საანგარიშო წელს ცვლილებები განხორციელდა ფიზიკური მისაწვდომობის სტანდარტების გაუმჯობესების მიმართულებით. 2020 წლის 4 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“.<sup>56</sup> მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი ეფუძნება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს და გაწერილია ტექნიკური კრიტერიუმები შენობა-ნაგებობების, მიწის ნაკვეთების და სხვა ელემენტების მისაწვდომობის საკითხების შესახებ. ამასთანავე, გათვალისწინებულია სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებები. თუმცა, მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით, უწყვეტ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს მუშაობა. მათ შორის, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ძალაში შესვლამდე ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია საკანონმდებლო ცვლილებებზე, ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ რეგულაციებსა და ვალდებულებებზე, რათა, საზოგადოება და პასუხისმგებელი სუბიექტები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი. უმოკლეს ვადებში უნდა გადამზადდეს შესაბამისი არქიტექტურული და საზედამხედველო სამსახურის პერსონალი. დროულად უნდა შემუშავდეს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ამ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობით. ამასთანავე, გეგმით უნდა განისაზღვროს გონივრული ვადები, გაწერილი ვალდებულებების შესასრულებლად.

რაც შეეხება ამ მხრივ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფაქტობრივ მდგომარეობას, სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მისაწვდომობის უფლების დისკრიმინაციულ შეზღუდვაზე არაერთი რეაგირების მიუხედავად<sup>57</sup>, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის სხვადასხვა მომსახურებაზე წვდომა კვლავ აქტუალური

<sup>56</sup> საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №732 „ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე“, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/dzn8zo>

<sup>57</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/5uazan>; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/ui1y33>

პრობლემა, რაც, ბუნებრივია, აფერხებს ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობას.

სახალხო დამცველის პრაქტიკამ ცხადყო, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კვლავ პრობლემად რჩება სოციალური დანიშნულების ობიექტებით, მუნიციპალური ტრანსპორტითა თუ საგზაო ინფრასტრუქტურით სარგებლობა. კერძო თუ საჯარო დაწესებულების შენობების უმრავლესობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, კვლავ ხელმიუწვდომელია. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევის თანახმად, რომელიც გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით (UNCRPD) დადგენილი სტანდარტების ეროვნულ კანონმდებლობაში გატარებას ეხება, კვლავ პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სივრცის მოწყობის სამშენებლო სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა და მათი აღსრულების ეფექტიანი ზედამხედველობა.<sup>58</sup>

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფიზიკური მისაწვდომობის პრობლემა გამოიკვეთა საბანკო მომსახურების მიღების კონტექსტში. ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებს სს „ლიბერთი ბანკის“ ფილიალის შენობაში შეღწევისას პრობლემა ექმნებათ, რამდენადაც ბანკის მიერ შექმნილი ადაპტირებული გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მაინც მიუწვდომელია. საგულისხმოა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მათთვის განკუთვნილ სოციალურ პაკეტს, სწორედ სს „ლიბერთი ბანკის“ მეშვეობით იღებენ. ამის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა სს „ლიბერთი ბანკს“.<sup>59</sup>

აუცილებელია, სახელმწიფომ შეცვალოს ის პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხელი მიუწვდებოდეთ სახელმწიფოსა თუ კერძო კომპანიების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე. მისაწვდომობის უფლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მხოლოდ მისაწვდომობის სტანდარტების განუხრელი განხორციელებით იქნება უზრუნველყოფილი.

### 3.3. უარი გონივრულ მისადაგებაზე განათლების უფლების კონტექსტში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განათლების უფლებით სხვებთან გათანაბრებული პირობებით სარგებლობა კვლავაც არსებითი გამოწვევაა. ამ უფლების დაცვა უშუალო კავშირშია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ სხვა ძირითადი უფლებებით სარგებლობასთან. როგორც პრაქტიკაშიც გამოიკვეთა, განათლების უფლების რეალიზება დიდწილად არის დამოკიდებული მისაწვდომობისა და გონივრული მისადაგების ვალდებულების შესრულებაზე. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში ასახული გონივრული მისადაგების ვალდებულება პრაქტიკაშიც სათანადოდ დაინერგოს.

<sup>58</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით (UNCRPD) დადგენილი სტანდარტები“, 2020, გვ. 10.

<sup>59</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 19 ნოემბრის რეკომენდაცია სს „ლიბერთი ბანკს“, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/ui1y33>

სახალხო დამცველი წლების განმავლობაში უთითებდა საბავშვო ბაღებსა<sup>60</sup> თუ სკოლებში<sup>61</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თუ ჰიპერაქტიური ბავშვებისთვის ინკლუზიური განათლების ხელმძღვანელობის და გარემოს არასათანადო ადაპტირების პრობლემაზე. საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოიკვეთა საგანმანათლებლო სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის, კერძოდ, გონივრულ მისადაგებაზე უარის ფაქტები. მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე, ისე უმაღლესი განათლების მისაღებ ეტაპზე, როგორც საჯარო ხელისუფლების, ისე კერძო სექტორის მხრიდან.

ერთ-ერთ შემთხვევაში,<sup>62</sup> სმენის პრობლემის მქონე აბიტურიენტისთვის, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის მოსასმენი დავალების შესრულებისას, მის საჭიროებებზე მორგებული პირობები არ ყოფილა შექმნილი. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა აბიტურიენტს დაუმატა საგამოცდო დრო, ასევე მისცა მოსასმენ აპარატურასთან ახლოს განთავსების უფლება, თუმცა შერჩეული ღონისძიებები არასაკმარისად ითვალისწინებდა სმენის პრობლემის მქონე პირის საჭიროებას. შედეგად, აბიტურიენტმა ვერ მოახერხა თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა. მეორე შემთხვევაში, ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებისას პრობლემური იყო ის, რომ გამოცდების ეროვნულ ცენტრს მისი სპეციალური საჭიროებების თაობაზე (წერის პროცესში ასისტენტის დახმარება) აბიტურიენტთან სათანადო კომუნიკაცია არ ჰქონია. აბიტურიენტის მითითებით, წინა წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას, მსგავსი პრობლემა არ შექმნიდა.

აბიტურიენტების საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ აუცილებელია, გონივრული მისადაგების ღონისძიების განსაზღვრისას, მხარესთან დიალოგის, ინდივიდუალური კომუნიკაციის პროცედურა ნორმატიულ დონეზე გაიწეროს, რათა აბიტურიენტს თუ სხვა პირს, ჰქონდეს გონივრული მისადაგების განსაზღვრულ ღონისძიებაში, საჭიროების მიხედვით, შესწორების ან ცვლილების შეტანის შესაძლებლობა. ასევე, მნიშვნელოვანია, აღმოიფხვრას ბარიერები, რომელიც ზღუდავს მისადაგების ღონისძიების ფორმის არჩევას. პრაქტიკულ დონეზე, ღონისძიების განსაზღვრისას, გასათვალისწინებელია, რომ გონივრული მისადაგება, მაგალითად, სმენის პრობლემის მქონე პირისთვის, შესაძლებელია, გულისხმობდეს რამდენიმე კომპონენტის კომბინაციას (როგორცაა უშუალო სმენითი ღონისძიებების გატარება, დამატებითი საშუალებების მოხილიზება). გონივრულ მისადაგებაზე უარი ყველა შემთხვევაში დასაბუთებული უნდა იყოს - ამ პროცესში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რომ კონკრეტულმა საჯარო თუ კერძო პირმა თავისი რესურსები ობიექტურად შეაფასოს. იმ

<sup>60</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 16 აპრილის რეკომენდაცია „Wonderland Preschool“-ს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/ktjffl>

<sup>61</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 23 იანვრის ზოგადი წინადადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/zsczyr>

საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 7 დეკემბრის რეკომენდაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/esjcnt>

<sup>62</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 7 დეკემბრის მიმართვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/zvthjh>

შემთხვევაში, თუ მისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის საჭირო ღონისძიების განხორციელება შეუძლებელია, მეორე მხარეს დამაჯერებელი და არგუმენტირებული დასაბუთება უნდა წარუდგინოს.<sup>63</sup>

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურს, კერძო სკოლის ადმინისტრაციამ არ გაითვალისწინა აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლის სპეციალური საჭიროებები, რამაც არასრულწლოვნის სოციალური აქტივობიდან გამორიცხვა და ირიბი დისკრიმინაცია გამოიწვია<sup>64</sup> - საგანმანათლებლო, სოციალურ საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად, ბავშვს სჭირდებოდა ოჯახის წევრის გაყოლა, რადგან მას უცხო ადგილას მარტო ყოფნა გაუჭირდებოდა. საკითხის კვლევისას, არ დადასტურდა სკოლის ადმინისტრაციის არგუმენტი, რომ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინება სკოლას გადამეტებულ ფინანსურ ტვირთს შეუქმნიდა.

გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა არსებითია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორობის დაცვისთვის, რამდენადაც ეს პრინციპი არა რომელიმე ჯგუფის, არამედ კონკრეტული ინდივიდის ინტერესების მხედველობაში მიღებას მოითხოვს. მსგავსი შეზღუდვის მქონე პირებს, შესაძლებელია, არ ჰქონდეთ ერთი და იგივე საჭიროებები და რომელიმე ღონისძიება გარემოს ადაპტირებას მხოლოდ ერთი ადამიანისთვის უზრუნველყოფდეს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ყოველი საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდის შესაძლებლობებს მოერგოს გარემო, რადგან, სხვანაირად, შესაძლოა, კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საზოგადოებაში ინტეგრაციის მიღმა დარჩნენ.

### 3.4. სოციალური პაკეტით და ასაკის გამო პენსიით ერთობლივად სარგებლობის პრობლემა

საქართველოში მოქმედი ზოგადი რეგულაციები კრძალავს ორი ან მეტი სოციალური პაკეტის ერთდროულად მიღებას, ასევე დაუშვებლად მიიჩნევს სოციალურ პაკეტთან ერთად სახელმწიფო პენსიით (საპენსიო პაკეტი) ან სახელმწიფო კომპენსაციით სარგებლობას. ეს წესი ასევე ადგენს გამონაკლისებს, როდესაც ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ მოქმედებს, თუმცა იგი არ ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.<sup>65</sup> ამგვარად, აღნიშნული ზოგადი წესიდან გამომდინარე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საპენსიო ასაკის პირი, ერთდროულად ვერ ისარგებლებს სოციალური პაკეტითა და ასაკის გამო პენსიით. ამ საკითხის განხილვისას, თუმცა კი მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ფინანსური რესურსების გათვალისწინება, მაგრამ, ამავე დროს, არსებითია, რომ სახელმწიფო ქმედით ნაბიჯებს დგამდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმული ადამიანების საჭიროებებზე საპასუხოდ, მათი უფლებების დასაცავად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ასევე ხანდაზმული ადამიანების ჯგუფი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური

<sup>63</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 2 თებერვლის ზოგადი წინადადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს და სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ დირექტორს, ხელმისაწვდომია: [shorturl.at/qwIL4](http://shorturl.at/qwIL4)

<sup>64</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 20 ივლისის რეკომენდაცია შპს „ნიუტონის რობოტიკის სკოლის“ დირექტორს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/mubxoe>

<sup>65</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №279 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტები, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი (2012 წლის 23 ივლისი).



დაუცველობის წინაშე დგანან. სახელმწიფო ვალდებულია, რომ ორივე ჯგუფის ღირსეული ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად გასწიოს ძალისხმევა. იმ ადამიანებთან მიმართებით კი, რომლებიც ორივე ჯგუფს განეკუთვნებიან - არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ხანდაზმულები - მათი გაზრდილი საჭიროებების ფონზე, სახელმწიფომ ადეკვატური პოლიტიკა უნდა გაატაროს.

ამ საკითხზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ ხარჯებზე, რომლის გაღებაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს დისკრიმინაციული გარემოს დასაძლევად უწევს. ეს ხარჯი შესაძლებელია სხვადასხვა იყოს ქვეყანების მიხედვით და განსხვავებული პროპორციით ნაწილდებოდეს სახელმწიფოსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე ან მის ოჯახზე. ამ თვალსაზრისით, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ხარჯები დიდია არა მხოლოდ საპენსიო ასაკს მიღწევისას, არამედ, მანამდეც. არაინკლუზიური განათლების სისტემის, შრომის უფლების რეალიზებაში მნიშვნელოვანი ხარვეზების, ხელმიუწვდომელი გარემოს თუ სხვა გამოწვევების გამო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი საპენსიო ასაკისთვის ვერ აგროვებს რაიმე დანაზოგს. შესაბამისად, მას და მის ოჯახს სიღარიბის რისკები ექმნება.

ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკაში ცვლილებების დაგეგმვისას, გადამწყვეტია, თუ რა მიზანი აქვს, ერთი მხრივ, სოციალურ პაკეტს და მეორე მხრივ, ასაკობრივ პენსიას. სოციალური პაკეტის მიზანია შესაბამის პირს გადასცეს ის ფინანსური რესურსი, რომელიც მას დაეხმარება გარემოს, საზოგადოების მიერ შექმნილი ხელოვნური ბარიერების დაძლევაში. ამგვარად, მისი ამოცანაა სპეციფიკურად შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე ხარჯების დაფარვა.

რაც შეეხება ასაკობრივ პენსიას, მისი ზოგადი მიზანია მიძღვრის მანამდე არსებული შემოსავლის ჩანაცვლება. გარდა ამისა, საქართველოში მოქმედი საპენსიო პოლიტიკა ეფუძნება იმ დათქმას, რომ ხანდაზმულ ადამიანებს, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, მეტი სოციალური გარანტია სჭირდებათ.<sup>66</sup> მაგალითად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ცალკეულ დაავადებებთან მიმართებით ახალი შემთხვევების რაოდენობა და ინციდენტობა, ასევე ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები, ყოველ 100 000 მოსახლეზე 70 წელს ზემოთ პირთა შორის მნიშვნელოვნად აღემატება 70 წლამდე ასაკის პირთა ჯგუფში იმავე მონაცემებს.<sup>67</sup> ასაკიდან გამომდინარე ჯანმრთელობის პრობლემები კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაშიც მათი საჭიროებებისგან დამოუკიდებლად შეიძლება განვითარდეს.

<sup>66</sup> აღსანიშნავია, რომ სოციალურ პენსიასთან მიმართებით საქართველოს მთავრობამ დანერგა ინდექსაციის კომპონენტი, თუმცა იგი განსხვავებულად გაავრცელა პირებზე, რომლებიც არიან 70 წლამდე და პირები, რომლებიც არიან 70 წლის და მეტი ასაკის. მათ მიმართ განსხვავებული მიდგომა გამოიხატება 70 წლის და მეტი ასაკის მქონე პირებისთვის პენსიის დანამატის უკეთეს ინდექსაციაში; იხ. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 6728-რს, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი (2/07/2020); იხ. განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/lx4zrk>

<sup>67</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი № 01/10192 (25/08/2020).

ამგვარად, ასაკობრივი პენსია, ერთი მხრივ, და სოციალური პაკეტი, მეორე მხრივ, განსხვავებული საჭიროებებისკენ არის მიმართული (რიგ შემთხვევებში თანაკვეთაც შეიძლება არსებობდეს, თუმცა, იგი არ იქნება სრული). აქედან გამომდინარე და შესაბამისი ჯგუფების წინაშე არსებული ზოგადი გამოწვევების მხედველობაში მიღებით, ცხადია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის საპენსიო ასაკს მიღწევა ყველა შემთხვევაში არ უნდა გამოირიცხავდეს შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და ასაკობრივი პენსიის თანადროულად მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის არსებული წესი იმგვარად უნდა შეიცვალოს, რომ ამ ორი ფინანსური სარგებლის ერთდროულად მიღების საკითხი პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით წყდებოდეს.<sup>68</sup>

#### 4. რელიგია

რელიგიური უმცირესობები საქართველოში კვლავ აწყდებიან დაბრკოლებებს. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზების პროცესში, დისკრიმინაციული მოპყრობა გამოიკვეთა რელიგიური საჭიროებების გაუთვალისწინებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, კვლავ შენარჩუნებულია საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა მხრიდან სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებისას რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციული ქმედებების განხორციელების სისტემური პრობლემა, რაც, მეტწილად, რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორობის პრინციპის შესახებ არასაკმარის ინფორმირებულობას უკავშირდება. თუკი, წინა წლებში, საკითხი, ძირითადად, მუსლიმი პირების მიერ საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული შემთხვევების ჭრილში განიხილებოდა,<sup>69</sup> 2020 წელს აღნიშნული გამოწვევა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა საჯარო რეესტრში იეპოვას მოწმეებისთვის მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისას შექმნილი დაბრკოლებების სახით.

##### 4.1. აბიტურიენტების რელიგიური საჭიროებების გაუთვალისწინებლობა

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მსვლელობისას დაბრკოლება შეექმნათ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის“ წევრ აბიტურიენტებს, რომლებსაც სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა უარი უთხრა ინგლისური ენის საგამოცდო თარიღის ცვლილებაზე.

„მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია“ კრძალავს შაბათ დღეს სხვადასხვა სეკულარულ ღონისძიებებსა და აქტივობებში მონაწილეობას. აბიტურიენტების გამოცდა ინგლისურ ენაში სწორედ შაბათ დღეს იყო ჩანიშნული, რის გამოც, მათ მოითხოვეს საგამოცდო თარიღის შეცვლა სხვა ნებისმიერი დღით - გარდა შაბათისა. ამაზე სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მათ უარი უთხრა. უარყოფითი გადაწყვეტილების მოტივად მიეთითა, რომ განმცხადებლებმა მხოლოდ მას შემდეგ მიმართეს ცენტრს გამოცდის სხვა დღეს დანიშვნის მოთხოვნით, როდესაც აბიტურიენტთა განაწილების პროცესი დასრულებული იყო,

<sup>68</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 28 დეკემბრის რეკომენდაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/9uc3gg>

<sup>69</sup> იხ. დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 18-21.



აბიტურიენტთა განაწილების პროცესი კი, ელექტრონული პროგრამით მიმდინარეობდა და მასში ჩარევა მთლიან საგამოცდო პროცესს უქმნიდა საფრთხეს.

როგორც საკითხის გამოკვლევის პროცესში დადგინდა, ერთიანი ეროვნული გამოცდების მარეგულირებელი კანონმდებლობა რეგისტრაციისას აბიტურიენტებს არ აძლევს შესაძლებლობას საკუთარი რელიგიური საჭიროებების შესახებ განაცხადონ. შესაბამისად, გამოცდების ორგანიზების პროცესში არც ამ საკითხის გათვალისწინების მექანიზმი არსებობს. სახალხო დამცველის შეფასებით, აბიტურიენტები, რომლებიც საკუთარი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე იძულებულები იყვნენ უარი ეთქვათ კონკრეტულ დღეს გამოცდაში მონაწილეობაზე, არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იმ აბიტურიენტებთან მიმართებით, რომელთა რელიგიაც განსხვავებული შეხედულების არის მსგავს საკითხებზე. ამიტომ, მომავალში, როგორც რელიგიის თავისუფლებით, ისე თანასწორობის უფლებით დაცულ სფეროში, გაუმართლებელი ჩარევის თავიდან ასაცილებლად, სახალხო დამცველმა წინადადებით<sup>70</sup> მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, უზრუნველყოს იმგვარი ცვლილებების მიღება, რომლებიც გამოცდების ორგანიზების პროცესში გაითვალისწინებს რელიგიურ საჭიროებებს. მნიშვნელოვანია, რომ, საბოლოოდ, აბიტურიენტებს მიეცათ გამოცდების სხვა დღეს ჩაბარების შესაძლებლობა.

#### 4.2. იეჰოვას მოწმეთა რელიგიური ორგანიზაციის პრობლემები მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესში

საანგარიშო პერიოდში პრობლემურად გამოიკვეთა საჯარო რეესტრში იეჰოვას მოწმეების მიმართ მიმდინარე წარმოება. კერძოდ, რელიგიურმა ორგანიზაციამ, სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“, სახალხო დამცველის აპარატს მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის კუთხით დაბრკოლებების შექმნის 9 იდენტურ შემთხვევაზე მიუთითა.<sup>71</sup>

საკითხის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგიონული ოფისები რელიგიურ ორგანიზაციას კანონით გაუთვალისწინებელ მოთხოვნას (ორგანიზაციის წევრების მოქალაქეობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის სახით)<sup>72</sup> უწესებდნენ და შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენლობის საფუძველით, იღებდნენ გადაწყვეტილებებს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ. საგულისხმოა, რომ ამავე საფუძველით მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევები ანალოგიურ პირობებში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებული სხვა (მათ შორის, რელიგიური) ორგანიზაციების განცხადებების განხილვისას არ გამოკვეთილა. აღსანიშნავია

<sup>70</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 29 ივლისის წინადადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/dcnpi9>

<sup>71</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 21 დეკემბრის ზოგადი წინადადება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/zxcjgr>

<sup>72</sup> მარეგისტრირებელი ორგანო აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენას ითხოვდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლით დადგენილი შეზღუდვების საფუძველზე, მაშინ როცა შესაბამისი მოთხოვნები განმცხადებელზე, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ ორგანიზაციაზე, არ ვრცელდება.

ისიც, რომ, გარკვეულ შემთხვევებში, სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი უძრავი ნივთი არ ყოფილა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რაც კიდევ უფრო პრობლემურს ხდიდა საკითხის გადასაწყვეტად „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მოთხოვნას.

მსგავსი პრაქტიკა საკითხის მიმართ არაერთგვაროვან და კანონსაწინააღმდეგო მიდგომად მიიჩნია თავად საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომაც და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებებით, რეგიონულ ოფისებს დაევალოთ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. შედეგად, საბოლოოდ, ზემოთ ხსენებულ ცხრავე შემთხვევაში დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა და შესაბამის უძრავ ნივთებზე გაფორმდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია. თუმცა სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“ მიუთითებდა, რომ ქონების რეგისტრაცია *დიდი შრომისა და წვალების საგნად იქცა, და რომ* თითოეული სარეგისტრაციო მოთხოვნის ადმინისტრაციული საჩივრების შედეგად დაკმაყოფილების მცდელობაში უამრავი დრო და რესურსი იკარგება.

ამდენად, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესში იეჰოვას მოწმეთა რელიგიური ორგანიზაციის მიმართ სისტემურად გამოვლენილი განსხვავებული მოპყრობა, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მას საკუთრების უფლებით სარგებლობისას, რაც რელიგიური ორგანიზაციებისთვის ერთ-ერთი საკვანძო უფლებაა.<sup>73</sup>

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიუთითებს საჯარო ფუნქციების აღმასრულებელი და სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების თანამშრომლების სისტემური გადამზადების აუცილებლობაზე რელიგიის თავისუფლებისა და ანტიდისკრიმინაციული სტანდარტების საკითხებზე და ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს მოუწოდებს, დანერგონ შესაბამისი სწავლებები და ტრენინგები, რომლებიც უზრუნველყოფს მათი უფლებამოსილებების განხორციელებისას თანასწორუფლებიანობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვას.

## 5. ეროვნება

ეროვნების და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის მხრივ, საქართველოს ეროვნულ ბანკს საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების, კომერციულ ბანკებს კი - პრაქტიკის ცვლილების მიმართულებით არც ამ საანგარიშო პერიოდში უმუშავიათ, რის შედეგადაც, რამდენიმე სახელმწიფოს მოქალაქე, სხვადასხვა საბანკო მომსახურების მიღებისას, კვლავ მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წააწყდა.

ამასთანავე, როგორც ამ საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, როგორც კანონიერ მემკვიდრეებს, ეზღუდებათ საკუთრების უფლება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებულ ქონებასთან მიმართებით, კერძოდ, სამინისტრო მემკვიდრეებზე ავრცელებს კანონმდებლობის იმ დებულებას, რომლის თანახმად, აღნიშნული ქონების პირველადი მიმღები სხვა ქვეყნის მოქალაქე ვერ იქნება.

<sup>73</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *KIMLYA AND OTHERS v. RUSSIA*, პარ. 85.

## 5.1. დაბრკოლებები საბანკო მომსახურების მიღებისას

საბანკო მომსახურებისას კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეების მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკის მხრივ, სამწუხაროდ, არც ეს საანგარიშო პერიოდი იყო გამონაკლისი. ამ მხრივ მდგომარეობა არც სახალხო დამცველის მიერ ზოგადი წინადადების<sup>74</sup> გამოცემის შემდეგ შეცვლილა.<sup>75</sup> ანგარიშზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი: ონლაინ ყიდვა/გაყიდვის შეუძლებლობა დოლარის ან/და ევროს ვალუტაში; უცხოურ ვალუტაში ანგარიშის გახსნასა და Western Union-ის მომსახურებაზე უარი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პოზიციით, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, მაღალი რისკის იურისდიქცია არის ქვეყანა ან ტერიტორია, რომელშიც ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სისტემა სერიოზული ნაკლოვანებით ხასიათდება. ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი, გარკვეული პერიოდულობით, განსაზღვრავს იმ მნიშვნელოვანი ნაკლოვანების მქონე იურისდიქციებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო საფინანსო სისტემას, რის გამოც, ამ იურისდიქციის რეზიდენტები მომეტებული რისკის მატარებლები არიან. თავის მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი მაღალი იურისდიქციების ნუსხას საქართველოს ფინანსური მონიტორინგის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს.<sup>76</sup>

## 5.2. კანონიერი მემკვიდრისთვის საკუთრების უფლების შეზღუდვა მოქალაქეობის ნიშნით

საანგარიშო პერიოდში პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, როგორც კანონიერი მემკვიდრეებისთვის, საკუთრების უფლების შეზღუდვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებულ ქონებასთან მიმართებით. კერძოდ, კანონმდებლობით განსაზღვრულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის პროცედურა. საქართველოს მთავრობის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქონება საკუთრებაში არ გადაეცემა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს.<sup>77</sup> ამ შემთხვევაში იკვეთება ნორმის წაკითხვის ორი შესაძლებლობა: 1) მოქალაქეობის ცენზი

<sup>74</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 აპრილის ზოგადი წინადადება საქართველოს ეროვნულ ბანკს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3o4VS1d>

<sup>75</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 27 აპრილის წერილი №2-14/1389. მოწოდებული წერილის თანახმად, საბანკო მომსახურების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, შესაბამისი სტანდარტები კი - ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ, რაც შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. ეროვნულმა ბანკმა ასევე აღნიშნა, რომ რიგი შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების გამოვლენისა და შემცირების მიზნით.

<sup>76</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის კორესპონდენცია №2-09/296.

<sup>77</sup> საქართველოს მთავრობის №445 დადგენილება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი (17 ივლისი, 2020). საქმის შესწავლის პერიოდისთვის საკითხს არეგულირებდა საქართველოს პრეზიდენტის №219 ბრძანებულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ (30 აპრილი, 2008).

მიემართება მხოლოდ პირველად მიმღებს (პირი, რომლის უშუალო სამართლებრივი მდგომარეობაა საკუთრების უფლების მოპოვების წინაპირობა); 2) მოქალაქეობის შესახებ მოთხოვნა ვრცელდება, მათ შორის, პირველადი მიმღების მემკვიდრეებზეც, მაშინ როდესაც პირველად მიმღებს ქონება სამართლებრივად არ გაუფორმებია. საჯარო უწყებები ამ წესს ორივე ჯგუფზე ავრცელებენ, შესაბამისად, პროცედურულად, პირველადი მიმღების მემკვიდრე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს ვერ გადაეცემა ქონება, იმის მიუხედავად, რომ პირველადი მიმღები საქართველოს მოქალაქე იყო.

უსაფრთხოების მიზნიდან გამომდინარე, თავდაცვის სფეროში მოქალაქეობის გამო შეზღუდვების დაწესება არაერთ ვითარებაშია გამართლებულია.<sup>78</sup> თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, არ არის ნათელი, თუ რა შეიძლება იყოს მემკვიდრეებზე მოქალაქეობის ცენზის ბლანკეტურად გავრცელების მიზანი იმ შემთხვევებში, როდესაც პირველად მიმღებს სამართლებრივად არ გაუფორმებია შესაბამისი ქონება. როგორც კანონმდებლობიდან და პრაქტიკიდან იკვეთება, სახელმწიფო განსხვავებულად ეპყრობა მემკვიდრეებს იმის მიხედვით, ამ ქონების პირველადმა მიმღებმა იგი სიცოცხლეში დაიკანონა თუ არა. აღსანიშნავია, რომ, თეორიულად, საქართველოს მოქალაქეს სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება სიცოცხლეში რომ დაეკანონებინა, გარდაცვალების შემდეგ კანონიერი მემკვიდრე ამ შემთხვევაშიც არამოქალაქე პირი იქნებოდა, თუმცა, მას მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობა დაბრკოლებას არ შეუქმნიდა.

## 6. ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობა

ლგბტ+ თემის წევრები ამ საანგარიშო პერიოდშიც აწყდებოდნენ უფლებადარღვევის ფაქტებს. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, 2020 წელს ლგბტ+ თემის წევრების მიერ გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის შესაძლებლობები კიდევ უფრო მეტად შემცირდა, რამაც ამ კუთხით არსებულ კრიტიკულ მდგომარეობაზე მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა მოახდინა. მაშინ, როდესაც აქტივისტები წლების განმავლობაში იბრძვიან უსაფრთხოდ შეკრებისათვის საჯარო სივრცეების მოსაპოვებლად, 2020 წლის 17 მაისს ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე ონლაინ ფორმატში ჩატარდა.<sup>79</sup>

ლგბტ+ ადამიანების სოციალური უფლებების მასობრივი შელახვის ფონზე, წელს პრობლემური იყო პენიტენციურ დაწესებულებაში ტრანსგენდერი ადამიანისთვის სათანადო ჰორმონული მკურნალობის უწყვეტად გაგრძელების და ლგბტ+ თემისთვის საბინაო სფეროში შექმნილი დაბრკოლებები.

<sup>78</sup> საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული ქონების კერძო საკუთრებაში მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობისთვის გადაცემას მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, მოქალაქეების მიერ საქართველოს უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილის აღნიშვნა, მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

<sup>79</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/3sxdc5>



## 6.1. ჰომოფობიურ ნიადაგზე ჩადენილი სამართალდარღვევები

წელს, იმის მიუხედავად, რომ ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, თემი მოკლებული იყო საჯარო შეკრების შესაძლებლობას, კვლავ თვალშისაცემი იყო ლგბტ+ ადამიანების და მათი მხარდამჭერების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ კონკრეტული ჯგუფების მხრიდან მომდინარე საფრთხე და აგრესიის დემონსტრირება. მთელი წლის განმავლობაში სისტემატური ხასიათი ჰქონდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან „თბილისი პრაიდის“ ოფისის მიმართ სხვადასხვა სახის სამართალდარღვევებს. პროცესს სათავე დაედო 2020 წლის 1 ივნისს, როდესაც ოფისის შენობასთან საპროტესტო აქცია გაიმართა და მონაწილეებმა შენობიდან ლგბტ+ თემის დროშის ჩამოხსნამდე, ყოველდღიური შეკრებები დააანონსეს.<sup>80</sup> გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც შენობას და მასზე გამოფენილ დროშას საღებავი შეასხეს და კვერცხები დაუშინეს.<sup>81</sup> გარდა ამისა, „თბილისი პრაიდის“ მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციით, კანონსაწინააღმდეგო ქმედებები გამოვლინდა, მათ შორის: ორგანიზაციის თანამშრომლების მიმართ ჰომოფობიურ შეძახილებში, რასაც თან ახლდა ყვირილი, გინება და სხვა უხამსი და ძალადობის მუქარის შემცველი გამონათქვამები, ასევე, ოფისის აივნიდან ლგბტ+ თემატიკის დროშის ჩამოხსნაში. ორგანიზაცია ასევე მიუთითებს პოლიციის უმოქმედობასა და არაეფექტიან რეაგირებაზე, რის გამოც, თანამშრომლებს არ აქვთ უსაფრთხოების განცდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის<sup>82</sup> თანახმად, 2020 წლის 26 მაისს, გამოძიება დაიწყო „თბილისი პრაიდის“ ოფისიდან დროშის ქურდობის ფაქტზე; 2020 წლის 7 ივნისს, ოფისის აივანზე გადმოფენილი დროშის და ამავე ოფისის კედლის შავი საღებავით და კვერცხებით დასვრის ფაქტზე ოთხი პირი ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად;<sup>83</sup> 2020 წლის 21-22 ივლისს, ოფისის აივანზე გადმოფენილი დროშის საღებავებიანი კვერცხებით დასვრისა და შენობის სადარბაზოში კვერცხების სროლის ფაქტებზე სავარაუდო სამართალდამრღვევთა მიმართ შედგა სამართალდარღვევის ოქმები; სამართალდარღვევის ოქმი შედგა, აგრეთვე, 2020 წლის 3 აგვისტოს ოფისის აივანზე გადმოფენილი დროშის საღებავებიანი კვერცხებით დასვრის ფაქტზე; 2020 წლის 24 სექტემბერს, ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაიწყო „თბილისი პრაიდის“ ოფისის შენობისთვის მუქი ფერის საღებავების სროლის შემთხვევაზე; ადმინისტრაციული სამართალწარმოება მიმდინარეობს 2020 წლის 20 სექტემბერს ოფისის სადარბაზოს მიმართულებით კვერცხების სროლის ფაქტზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, ყოველთვის, როცა „თბილისი პრაიდის“ ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეები ნებისმიერი სახის პროტესტის გამოსახატად იკრიბებიან,

<sup>80</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/n2jyyu>

<sup>81</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/rb1nsk>; <https://rb.gy/1uzn3t>

<sup>82</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 7 ოქტომბრის №MIA 6 20 02386703 წერილი.

<sup>83</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნული პირები ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის (წვრილმანი ხულიგნობა). მათგან სამი პირი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა, ხოლო ერთ პირს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა, 500 ლარის ოდენობით.

პოლიციის თანამშრომლები, პატრულირების გზით, გაძლიერებულად იცავენ მართლწესრიგსა და უსაფრთხოებას.<sup>84</sup> ამის მიუხედავად, ზემოთ ხსენებული ფაქტების თავიდან არიდება ვერ მოხერხდა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს ანტიდემოკრატიული მოძრაობების გაძლიერების მიზეზებისა და ჰომოფობიის პოლიტიკური და სოციალური ეფექტის სათანადო ანალიზისა და უფლებათა დაცვის სისტემური ხედვის არსებობის აუცილებლობაზე.

## 6.2. ტრანსგენდერი პატიმრის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე

პრობლემურია სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან ტრანსგენდერ პირთა საჭიროებების განსაზღვრისა და დაკმაყოფილების საკითხი. საანგარიშო პერიოდში მოგვმართეს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით სარგებლობის დისკრიმინაციულ შეზღუდვასთან დაკავშირებით.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაწესებულებაში განთავსებულ ტრანსგენდერ პირს, რომელსაც სქესის ტრანზიციის პროცესში მუდმივად ესაჭიროება ჰორმონული მედიკამენტებით უზრუნველყოფა, პენიტენციურმა დაწესებულებამ უარი განუცხადა მედიკამენტების მიწოდებაზე. მას ასევე ეთქვა უარი ენდოკრინოლოგის მომსახურებით სარგებლობაზე. სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტმა უარის საფუძვლად დაასახელა, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ კლინიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭიროდ არ ჩაითვალა ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, ხოლო, მეორე მხრივ, დასახელებული არ ყოფილა კონკრეტული პრეპარატები, ასევე ვერ მოხერხდა ჩატარებული ჰორმონული თერაპიის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის წარდგენა.

ტრანსგენდერ ადამიანებს ესაჭიროებათ განსხვავებული, მათ საჭიროებაზე მორგებული სამედიცინო მომსახურება. „ტრანსექსუალი, ტრანსგენდერი და არაკონფორმული გენდერის პირებისთვის სამედიცინო დახმარების სტანდარტების (SOC)“ თანახმად, ჯანდაცვა ტრანსგენდერი ადამიანებისთვის, რომლებიც ინსტიტუციონალიზებულ (მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულებები) გარემოში ცხოვრობენ, იმ მომსახურების იდენტური უნდა იყოს, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა იმავე საზოგადოებასა და არაინსტიტუციონალიზებულ პირობებში რომ იმყოფებოდნენ.<sup>85</sup> პირებს, რომლებიც ინსტიტუციებში უკვე დანიშნული ჰორმონული თერაპიის სათანადო სქემით ხვდებიან, იგივე ან მსგავსი თერაპია უნდა გაუგრძელდეთ.<sup>86</sup> მოცემულ შემთხვევაში, ენდოკრინოლოგის მომსახურებასა და მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე უარის თქმამ კი, უგულებელყო განმცხადებლის სპეციფიკური მახასიათებლები. შესაბამისად, სახალხო დამცველმა, გენდერული იდენტობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციით<sup>87</sup> მიმართა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, რათა გაატაროს სათანადო ღონისძიებები

<sup>84</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 7 ოქტომბრის №MIA 6 20 02386703 წერილი.

<sup>85</sup> WPATH, Standards of Care, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/qdbljjz>

<sup>86</sup> Kosilek v. Massachusetts Department of Corrections/Maloney, C.A. No. 92-12820-MLW, 2002.

<sup>87</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 7 დეკემბრის რეკომენდაცია სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/y9wwfd>



განმცხადებლისთვის როგორც სპეციალიზებული ენდოკრინოლოგის მომსახურებით, ასევე ჰორმონული მედიკამენტების შეუფერხებლად და უწყვეტად მიწოდების უზრუნველსაყოფად.

### 6.3. საბინაო სფეროში ლგბტ+ ადამიანების დისკრიმინაცია

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პრობლემური იყო ლგბტ+ პირთა მიმართ მოპყრობა საბინაო სფეროში. რიგ შემთხვევებში, კერძო პირები უარს ამბობდნენ ლგბტ+ თემის წარმომადგენლებისთვის საჯაროდ შეთავაზებული უძრავი ქონების მიქირავებაზე.

საბინაო სფეროში დისკრიმინაცია და საიმედო საცხოვრებელ გარემოზე ხელმიუწვდომლობა განსაკუთრებით უარყოფითად აისახება ლგბტ+ ადამიანებზე, მათ შორის, მათ პიროვნულ განვითარებაზე. საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებიდან გამომდინარე, თემის წარმომადგენლებისთვის სხვადასხვა ეკონომიკურ რესურსსა თუ სამუშაოზე წვდომა გართულებულია. ამ გამოწვევების კომბინაცია ლგბტ+ თემის წევრებს საბინაო სფეროში მძაფრი პრობლემის წინაშე აყენებს. მაგალითად, როგორც საერთაშორისო გამოცდილებები მიუთითებს,<sup>88</sup> ყოველი ხუთიდან ერთი ტრანსგენდერი ადამიანი მაინც ყოფილა დისკრიმინაციის მსხვერპლი საბინაო სფეროში.<sup>89</sup> აღსანიშნავია ევროკავშირის მასშტაბით ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმად, ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა 13 პროცენტი, ბინის ყიდვისას ან ქირავნობისას დისკრიმინაციის მსხვერპლი გამხდარა. უშუალოდ ტრანსგენდერ ადამიანებს შორის მაჩვენებელი 17 პროცენტია.<sup>90</sup> გარდა ამისა, როგორც კვლევა მიუთითებს, ლგბტ+ თემის წარმომადგენელს 120-ჯერ მეტი რისკი აქვს, რომ უსახლკარო გახდეს.<sup>91</sup>

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, გამოიკვეთა უძრავი ქონების აგენტის მხრიდან ტრანსგენდერი ქალისთვის ბინის მიქირავებაზე უარის შემთხვევა. როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, აგენტი წინასწარ ჩამოყალიბებული დისკრიმინაციული მოსაზრებებით მოქმედებდა და მისი უარი რაციონალური გარემოებებიდან არ გამომდინარეობდა.<sup>92</sup>

აღსანიშნავია, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის გარიგებების დადებისას, ლგბტ+ თემის წარმომადგენლებს დაბრკოლებები წინა წლებშიც ექმნებოდათ. მაგალითად, ერთ შემთხვევაში, სექსუალური ორიენტაციის და საქმიანობის სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დადგინდა კერძო პირის მიმართ, როდესაც მან ლგბტ+ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას საოფისე ფართი მისი საქმიანობის გამო არ მიაქირავა.<sup>93</sup> გარდა ამისა, დისკრიმინაციის ფაქტები გამოვლინდა რამდენიმე ორგანიზაციის მხრიდან, რომლებმაც ლგბტ+ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, ლგბტ+ თემატიკაზე

<sup>88</sup> საქართველოში საბინაო სფეროში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ კვლევები არ არსებობს.

<sup>89</sup> Housing and Homelessness, National Center for Transgender Equality, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/qveipl>

<sup>90</sup> EU LGBT survey European Union lesbian, gay, bisexual and transgender survey Results at a glance, FRA, 18 (2013), ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/9lq1gi>; Protecting LGBTIQ rights in Europe, Submission to the second review of the Council of Europe Recommendation on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity (CM/Rec(2010)5), 106 (2018), ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/shwv9z>

<sup>91</sup> LGBTIQ Homeless Survey Now Open. ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/fl24wt>

<sup>92</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 21 დეკემბრის რეკომენდაცია ლ.ს.-ს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/ckvq1j>

<sup>93</sup> საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია ს.კ.-ს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/3rrbx1>

ღონისძიების ჩატარების მიზნით სივრცის გამოყოფაზე ფორმალურ არგუმენტაციაზე დაყრდნობით უთხრეს უარი.<sup>94</sup>

მსგავსი შემთხვევები, სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ აჩვენებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტიგმაზე დაფუძნებულ ხედვებს. მნიშვნელოვანია, საზოგადოების ყველა წევრმა გაიაზროს, რომ თანასწორობის პრინციპის დაცვას კანონი ნებისმიერ კერძოსამართლებრივ სფეროსთან მიმართებით მოითხოვს, მათ შორის, წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში.

## 7. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

შრომითი ურთიერთობები დისკრიმინაციის მიმართ ამ საანგარიშო პერიოდშიც ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი სფერო იყო. დისკრიმინაციის ფაქტები ვლინდებოდა როგორც საჯარო სამსახურში, ისე კერძო დასაქმების ადგილებზე. უთანასწორო მოპყრობა ხშირად გამოიხატებოდა დასაქმებულისთვის მტრული გარემოს შექმნაში, მისი განსხვავებული მოსაზრების გამო. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის არაერთი რეაგირების მიუხედავად, წელს ისევ აქტუალური იყო სქესის, ასაკის თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციული ვაკანსიების შესახებ განცხადებების გავრცელება. საანგარიშო პერიოდში, ასევე გამოიკვეთა, სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის მიზნით, მედიის წარმომადგენლების შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები.

### 7.1. სამუშაო ადგილზე შევიწროება

საანგარიშო პერიოდში შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის შემთხვევების დიდი ნაწილი დასაქმების ადგილებზე შევიწროებით გამოიხატებოდა. მტრული და ღირსების შემლახველი გარემოს შექმნა, წინა წლების მსგავსად, ძირითადად, განსხვავებული მოსაზრების საფუძველით დგინდებოდა. თუმცა, ერთ-ერთ საქმეში სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნითაც გამოვლინდა, რაც განსაკუთრებით პრობლემური იყო იმის გათვალისწინებით, რომ შესაფასებელი ქმედებები, უმეტესად, ახალი კორონავირუსის გავრცელების პერიოდში გააქტიურდა.<sup>95</sup> შესაბამისად, თვალსაჩინო გახდა საზოგადოებაში არსებული უთანასწორობების გაძლიერების საფრთხე, რომელსაც გლობალური პანდემია წარმოშობს, მათ შორის, ქრონიკული დაავადებების მქონე დასაქმებულებისთვის სამუშაოს შენარჩუნების კუთხით სირთულეების შექმნის სახით.

შევიწროების ფაქტები გამოვლინდა როგორც საჯარო დაწესებულებებში,<sup>96</sup> ისე კერძო კომპანიებში.<sup>97</sup> დისკრიმინაციული ქმედებები კი, რომლებიც სამუშაო ადგილზე შევიწროების

<sup>94</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 იანვრის რეკომენდაცია სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს“, ააიპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას“, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზას“, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/wkv3fr>

<sup>95</sup> სასამართლოს მეგობრის მოსაზრება რუსთავის საქალაქო სასამართლოს ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/qzcowg>

<sup>96</sup> ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია.

<sup>97</sup> სს „თელასი“. სახალხო დამცველის აპარატში სავარაუდო შევიწროების ფაქტებზე საქმისწარმოება სხვა დამსაქმებულების მიმართაც მიმდინარეობს.

შემადგენლობას ქმნიდა, გამოიხატებოდა: არაეთიკური და შეურაცხმყოფელი კომუნიკაციის ფორმების გამოყენებაში,<sup>98</sup> ფულადი ჯილდოს გაუცემლობაში,<sup>99</sup> სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისთვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნასა და სხვ. ყველაზე ხშირად, დამსაქმებლები პირის სამსახურიდან გაშვების დისკრიმინაციული მოტივების დაფარვას ისეთი ფორმალურ-სამართლებრივი საფუძვლების გამოყენებით ცდილობდნენ, როგორცაა რეორგანიზაცია, დისციპლინური სამართალწარმოება, დასაქმების ვალდებულების არარსებობა. თუმცა, გარემოებათა შესწავლის შედეგად, დგინდებოდა, რომ რეორგანიზაციის შემდეგ, კვლავ არსებობდა შტატები იმავე ფუნქციური დატვირთვით ან სისტემური რეორგანიზაციის ფარგლებში შემცირებული იყო მხოლოდ ერთი, განმცხადებლის მიერ დაკავებული საშტატო ერთეული. დისციპლინური სამართალწარმოების შემთხვევაში დადგინდა, რომ წარმოება სამსახურში მიმოსვლის წესების დარღვევის საფუძვლით, დაწყებული იყო კორონავირუსის პანდემიის პერიოდში ქრონიკული დაავადების მქონე პირის მიმართ.<sup>100</sup> იმ საქმეებში, რომლებშიც დაწესებულება დასაქმების ვალდებულების არარსებობაზე აპელირებდა და დასაქმებაზე უარს, მათ შორის, უპირატესად არსებული პერსონალის დატვირთვის ლეგიტიმურ მიზანზე მითითებით ამართლებდა, გამოირკვა, რომ, ერთ შემთხვევაში, შესაბამის პოზიციაზე, საბოლოოდ, ორი მოწვეული პირი დასაქმდა,<sup>101</sup> მეორე შემთხვევაში კი, საკითხთან დაკავშირებით წარმოებულ ელექტრონულ მიმოწერაში უფლებამოსილი პირი პირდაპირ მიუთითებდა, რომ განმცხადებლის მოწვევას მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა მის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების გამო.<sup>102</sup>

კონკრეტულ შემთხვევებში, შევიწროების ფაქტის დადგენას აბრკოლებს ამგვარ საქმეებში მსხვერპლის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით არსებული სირთულეები. დისკრიმინაციული მოტივები, ხშირად, ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციისას მჟღავნდება. პირისპირ საუბრისას გამოიყენება, აგრეთვე, შეურაცხმყოფელი და არაეთიკური მიმართვის ფორმებიც. გარდა ამისა, სამუშაო ადგილზე პრობლემების შექმნის შიშით, პოტენციური მოწმეები თავს იკავებენ მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების დადასტურებისგან ან უარყოფისგან. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატის პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემა გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე ეს შევიწროების ფაქტის დადგენის შესახებ არსებული გადაწყვეტილებებით ვლინდება.

<sup>98</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 31 აგვისტოს რეკომენდაცია სს „თელასის“ მიმართ, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/isac9o>

<sup>99</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 10 სექტემბრის რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიმართ, ხელმისაწვდომია: ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/njcxo3>

<sup>99</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/nqx69z>;

<sup>100</sup> სასამართლოს მეგობრის მოსაზრება რუსთავის საქალაქო სასამართლოს ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/qzcowg>

<sup>101</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/ofdva>

<sup>102</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/nqx69z>

## 7.2. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში მედიის თანამშრომლების მიმართ

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დისკრიმინაციის ფაქტები გამოვლინდა ჟურნალისტების მიმართ. დამსაქმებლის მხრიდან დამოუკიდებელ სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევას აწყდებოდნენ როგორც საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ისე კერძო საკუთრებაში არსებული მაუწყებლების წარმომადგენლები.

ჟურნალისტების მიმართ მასობრივი უფლებადარღვევის<sup>103</sup> და განსხვავებული მოსაზრებისა და პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები<sup>104</sup> მოჰყვა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ 2019 წლის ნოემბერში ახალი დირექტორის დანიშვნას. უფლებადარღვევები გამოიხატა მრავალი სახით, მათ შორის, ადგილი ჰქონდა სამსახურიდან გათავისუფლებას, სატელევიზიო საქმიანობაზე დაშვების შეზღუდვას, შესასრულებელი სამუშაოს სახის და ფუნქციების თვითნებურ ცვლილებას, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას. ჩამოთვლილმა შემთხვევებმა კიდევ უფრო გაამძაფრა აჭარის ტელევიზიის თავისუფალი და მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის მცდელობასთან დაკავშირებული ეჭვები, რომელიც ტელეკომპანიის წინა დირექტორის, ნათია კაპანაძის იმპიჩმენტის შემდეგ გაჩნდა.

პრობლემური იყო ასევე, „ტელეიმედის“ გადაცემა „ბიზნესის“ (გადაიცემოდა „მაესტროს“ ეთერით) დახურვის საკითხი, რის მიზეზადაც არხის მენეჯმენტმა რეორგანიზაციის აუცილებლობა დაასახელა. ჟურნალისტების მითითებით, გადაცემის დახურვის რეალური მიზეზი გახდა არა რეორგანიზაცია, არამედ „ტელეიმედის“ ხელმძღვანელი პირების მიერ დაწესებული ცენზურა, ინფორმაცია ხელისუფლების სასარგებლოდ გაეშუქებინათ.<sup>105</sup> აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტებმა ასევე მიმართეს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიას, რომელმაც დაადგინა, რომ „ტელეიმედის“ დირექტორი ჟურნალისტების სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩაერია.<sup>106</sup> სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ თავისუფალი მედია ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა და დაუშვებელია ჟურნალისტის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა ან/და

<sup>103</sup> 2020 წლის 24 აპრილს, სახალხო დამცველმა მაუწყებლის დირექტორის მხრიდან ახალი ამბების სამსახურის ყოფილი უფროსის, შორენა ღლონტის, უფროსის მოადგილის, მაია მერკვილაძის და ამავე სამსახურის წამყვან-რეპორტიორის, თეონა ბაკურიძის შრომითი უფლებების დარღვევა დაადგინა. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3788m18>

<sup>104</sup> საქმის შესწავლის შედეგად, გამოვლინდა, რომ მალხაზ რეხვიაშვილის სამსახურიდან დათხოვნის, თეონა თურმანიძის სატელევიზიო საქმიანობაზე დაშვების შეზღუდვისა და სოფიო ჟღენტისთვის შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის შეცვლის შედეგად, ადგილი ჰქონდა მათი შრომითი უფლებების დარღვევას, ხოლო რეპორტიორის საქმიანობის შესასრულებლად თეონა ხარაბაძისთვის სამუშაო ადგილის შეცვლა მის შრომით უფლებაში ინტენსიური ჩარევა იყო. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ თეონა თურმანიძისა და თეონა ხარაბაძის შრომით უფლებებში ჩარევის დროს, ასევე ადგილი ჰქონდა განსხვავებული მოსაზრებისა და პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით დისკრიმინაციას. სახალხო დამცველის 2020 წლის 24 აგვისტოს რეკომენდაცია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორს, გიორგი კობრეიძეს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fj9X1d>

<sup>105</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 19 მარტის რეკომენდაცია „ტელეიმედის“ დირექტორს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QqJn19>

<sup>106</sup> დეტალურად იხ. <https://bit.ly/2HHHhJz>



ქურნალისტის იძულება პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან/და აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

### 7.3. დისკრიმინაციული ვაკანსიები

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ვაკანსიების შესახებ დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემცველ განცხადებებზე არაერთი რეაგირების მიუხედავად, ამგვარი შინაარსის განცხადებების ცალკეულ ვებგვერდებზე განთავსება კვლავ აქტუალური პრობლემაა, რაც ხელს უწყობს სქესის, ასაკის თუ სხვა საფუძვლით საზოგადოებაში არსებული უარყოფითი სტერეოტიპების გამყარებას. პრობლემურია, ერთი მხრივ, დამსაქმებლების მიერ დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემუშავება, ხოლო, მეორე მხრივ, ვებგვერდებით მსგავსი განცხადებების გავრცელება.

მნიშვნელოვანია, რომ 2019 წლის 19 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით<sup>107</sup>, შრომის კოდექსითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით, ექსპლიციტურად განისაზღვრა, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას. შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, დამსაქმებლებს ამ საკანონმდებლო ცვლილებებამდეც ჰქონდათ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში კანდიდატებისთვის თანასწორი გარემოს შექმნის ვალდებულება, თუმცა, სპეციალური ჩანაწერის გაჩენით ეს ვალდებულება, წესით, მათთვის კიდევ უფრო თვალსაჩინო უნდა გამხდარიყო. მითითებულ ცვლილებებს ხელი უნდა შეეწყო დამსაქმებელთა ინფორმირებულობის გაზრდისა და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციული მოპყრობის პრევენციისთვის, თუმცა სახალხო დამცველის პრაქტიკამ ცხადყო, რომ ეს საკითხი კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

ასეთი განცხადებების სიმრავლე მოწმობს, რომ დასაქმების სფეროში თანასწორობის პრინციპის დაცვის პრობლემა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. როგორც დასაქმების სხვადასხვა ვებგვერდებზე გამოქვეყნებული დისკრიმინაციული განცხადებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, დამსაქმებლები, უმეტესწილად, სამუშაოდ იწვევენ კონკრეტული სქესისა და ასაკის კანდიდატებს, ასევე, დასაქმების კრიტერიუმად, ხშირად, განსაზღვრულია „სასიამოვნო გარეგნობა“. სახალხო დამცველის პრაქტიკის თანახმად, ასეთი მოთხოვნების საჭიროების დასასაბუთებლად, დამსაქმებლებმა ლეგიტიმური არგუმენტი ვერცერთ შემთხვევაში ვერ წარმოადგინეს.

იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა, შრომით ბაზარზე არსებული მანკიერი დისკრიმინაციული პრაქტიკა, ხშირ შემთხვევაში, სამუშაოს მაძიებელს

<sup>107</sup> 2019 წლის 19 თებერვლის საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/itrcbc>; 2019 წლის 19 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/jxi5fo>



თავიდანვე უსპობს საშუალებას, გამოეხმაუროს დამსაქმებლის გამოქვეყნებულ ვაკანსიებს. დროთა განმავლობაში ქალისა და მამაკაცის სოციალური როლის გათანაბრებასთან ერთად, თანდათან ქრება განსხვავება ქალისა თუ მამაკაცის მიერ შესასრულებელ სამუშაოებს შორის და ქალები მეტ-ნაკლებად ემანსიპირებულნი არიან შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში, თუმცა დამსაქმებლებს კვლავ აქვთ სტერეოტიპული შეხედულებები ამა თუ იმ სამსახურისადმი გენდერული კუთვნილების თაობაზე. ქართულ რეალობაში ხშირია მკვეთრი მიდგომა, თუ რა სახის სამუშაო უნდა შეასრულოს „ქალმა“, „კაცმა“ თუ „სასიამოვნო გარეგნობის“ მქონემ. ვაკანსიების შესახებ განცხადებების დისკრიმინაციული შინაარსის ტექსტების შემუშავება და სხვადასხვა ჯგუფისთვის დაბრკოლებების შექმნა, უმეტესად, გენდერულ როლებთან დაკავშირებით დამსაქმებლების წარმოდგენებით არის განპირობებული.

ამასთანავე, შრომით ბაზარზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამსახურის საძიებო ვებგვერდები, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოძებნოს სასურველი ვაკანსია. იმით, რომ დასაქმების ვებგვერდები არ ფილტრავენ დისკრიმინაციული სიტყვების შემცველ ვაკანსიებს, ერთი მხრივ, ხელს უწყობენ დამსაქმებლებს, მიმართონ დისკრიმინაციას დასაქმების ეტაპზე, ხოლო მეორე მხრივ, დისკრიმინაციული პრაქტიკის ტირაჟირებას ახალისებენ. პრობლემურია ისიც, რომ მსგავს შემთხვევებში, კერძო კომპანიები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, არ იჩენენ სახალხო დამცველთან თანამშრომლობის მზაობას.

საკითხის მასშტაბურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, კიდევ ერთხელ შეემუშავებინა ზოგადი წინადადება<sup>108</sup> და კომპანიებისთვის, მათ შორის, დასაქმების ვებგვერდებისთვის, კვლავ მოეწოდებინა შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში თანასწორობის პრინციპის დაცვის აუცილებლობისკენ. სახალხო დამცველმა, კონკრეტულ კომპანიებს, ზოგადი წინადადებით მოუწოდა განცხადებების გამოქვეყნებისას თავი შეიკავონ ვაკანსიებში დისკრიმინაციული კრიტერიუმების განსაზღვრისგან, ხოლო სამსახურის საძიებო საჯარო ვებგვერდებს - შეიმუშაონ მკაცრად განსაზღვრული რეგულაციები, რომლითაც სრულად აღმოიფხვრება დისკრიმინაციული ვაკანსიების გამოქვეყნება მათ ვებგვერდზე.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, ამავე საკითხზე, სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით<sup>109</sup> მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეემუშავებინა სახელმძღვანელო, რომელშიც ასახული იქნებოდა რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ვაკანსიის შესახებ განცხადებები, რა ტერმინების გამოყენება იწვევს დისკრიმინაციას და როგორ შეიძლება განცხადების მორგება სამუშაოს სპეციფიკაზე იმგვარად, რომ თავიდან აირიდონ დისკრიმინაციული შეზღუდვების გამოყენება. ამ ზოგადი წინადადების შემუშავებამდე, დასაქმების შესახებ საჯაროდ გავრცელებულ ვაკანსიებში დისკრიმინაციული შეზღუდვების არსებობასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატს, ვაკანსიების გამავრცელებელი

<sup>108</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 19 ნოემბრის ზოგადი წინადადება კერძო კომპანიებს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/3uacng>

<sup>109</sup> სახალხო დამცველის 2017 წლის 23 მაისის ზოგადი წინადადება: <https://rb.gy/ibyjp9>

ვებგვერდის ([www.jobs.ge](http://www.jobs.ge)) მიმართ ასევე ჰქონდა გამოცემული ზოგადი წინადადება,<sup>110</sup> რომლითაც მოუწოდებდა, შეემუშავებინა ისეთი რეგულაციები, რომლითაც აღმოიფხვრებოდა დისკრიმინაციული ვაკანსიების გამოქვეყნება მის ვებგვერდზე, ხოლო შპს „ელიტ-სერვისისთვის“ მიმართული ჰქონდა რეკომენდაციით.<sup>111</sup>

## 8. თანასწორობა სოციალური უფლებებით სარგებლობისას

საქართველოში მუდმივი ბინადრობის მქონე პირებისთვის სახელმწიფო სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები არც 2020 წელს გამხდარა ხელმისაწვდომი. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსი ხარვეზები აღინიშნება მუნიციპალიტეტების შემუშავებულ პროგრამებშიც, რომლითაც, რიგ შემთხვევებში, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის ფორმის, ქორწინების სტატუსის თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციული კრიტერიუმებია დაწესებული, პროგრამების ნაწილი იმდენად დეტალიზებულად არის გაწერილი, რომ არსებითად თანასწორ ჯგუფს გაუმართლებლად გამორიცხავს, ზოგიერთი რეგულაცია კი იმგვარადაა ფორმულირებული, რომ კონკრეტული ტერმინის თუ მიდგომის მითითებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, წამალდამოკიდებული თუ სხვა პირების მიმართ დისკრიმინაციას ახალისებს.

აღსანიშნავია, რომ ამ საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა, სოციალური მდგომარეობის საფუძველით, დისკრიმინაციულად შეაფასა საქართველოში არსებული საჯარო სამსახურში ანაზღაურების გარეშე სტაჟირების სისტემა. მსგავსი მიდგომა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს იმ სტუდენტებს და სხვა ახალგაზრდებს, რომლებიც, ფინანსური რესურსების არარსებობის გამო, იძულებულნი არიან, სწავლის პარალელურად, პროფესიული აუნაზღაურებელი სტაჟირების გავლის ნაცვლად, ისეთ სამუშაოზე დასაქმდნენ, რომელიც მათ პროფესიულ განვითარებას ხელს არ შეუწყობს.

### 8.1. სახელმწიფო სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით სარგებლობის საკითხი საქართველოში მუდმივი ბინადრობის მქონე პირებისთვის

მუდმივი ბინადრობის მქონე პირების მიერ სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით სარგებლობის პრობლემა კვლავ გამოწვევად რჩება. ამ საკითხის შესახებ სახალხო დამცველი წინა ანგარიშებშიც მიუთითებდა, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით პროგრესული ცვლილება არ შეინიშნება.

სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამები, რომლებიც შეღავათებს აწესებენ პროგრამით მოსარგებლეთათვის, ძირითად შემთხვევაში, ხელმისაწვდომია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის და გაუმართლებლად გამორიცხავს საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს, რომლებსაც, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის მიზნებისათვის, ისეთივე წვლილი შეაქვთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც საქართველოს მოქალაქეებს.

<sup>110</sup> სახალხო დამცველის 2015 წლის 7 აპრილის ზოგადი წინადადება, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/jtyc4e>

<sup>111</sup> სახალხო დამცველის 2016 წლის 2 მარტის რეკომენდაცია: <https://rb.gy/hburby>

## 8.2. მუნიციპალური სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპთან

თვითმმართველი ორგანოების მიერ სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შემუშავება პროგრესული ღონისძიებაა, რომელიც, რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ დახმარებას უწევს პროგრამით განსაზღვრულ მოსარგებლეთა წრეს. თუმცა, სამწუხაროდ, პროგრამებით განსაზღვრულ მოსარგებლეთა წრიდან, ხშირად, გამოირიცხებიან მსგავსი საჭიროების მქონე, არსებითად თანასწორი ჯგუფები სქესის, შეზღუდვის ტიპის, ასაკის, მოქალაქეობის, ქორწინების სტატუსის თუ სხვა საფუძვლით. ასევე, გვხვდება იმგვარად ფორმულირებული რეგულაციები თუ ტერმინები, რომლებიც ახალისებს ამა თუ იმ ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ხარვეზი, სავარაუდოდ, განპირობებულია კონკრეტული საკითხის, ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებით არასწორად მოწესრიგებით. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ, შესაძლებლობის ფარგლებში, თვითმმართველმა ორგანოებმა თავად წარმართონ საქმიანობა თანასწორობის პრინციპის დაცვით.

მუნიციპალური პროგრამების შეფასების შედეგად, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განმსაზღვრელ ზოგიერთ სამართლებრივ აქტში იკვეთება დისკრიმინაციის წამახალისებელი ტერმინოლოგია. მაგალითად, ცაგერის<sup>112</sup> მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამაში მხედველობის პრობლემის მქონე პირები მოხსენიებულნი არიან როგორც *უსინათლო ინვალიდები*; თეთრიწყაროს<sup>113</sup> და ახალქალაქის<sup>114</sup> მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდებს დისკრიმინაციულად მოიხსენიებს *დაავადებულებად*.

ასევე შეინიშნება სქესის ნიშნით დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემცველი სოციალური პროგრამები, რომლებიც ეფუძნება ქალისა და მამაკაცის მიმართ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებს და ახალისებს კიდევ მათ. მაგალითად, ამბროლაურის<sup>115</sup> მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ პირზე/ოჯახზე, სადაც არ ცხოვრობს შრომისუნარიანი მამაკაცი და ოჯახს, ზამთრის სეზონისათვის საშემე მერქნის შესაძენად ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია, გაიცემა საშემე მერქანი.

<sup>112</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ; მუხლი 8.

<sup>113</sup> თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №292, 2019 წლის 27 დეკემბერი, ქ. თეთრიწყარო 2020 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ; მუხლი 26.

<sup>114</sup> ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №29, 2019 წლის 17 დეკემბერი. მუხლი 12. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rb.gy/cofquz>

<sup>115</sup> ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №32, 2019 წლის 25 დეკემბერი; „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 14; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rb.gy/vmqxub>

განსაკუთრებით პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, რომლებიც ხარვეზიანია მრავალი მიმართულებით - პროგრამები არ ასახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეალურ საჭიროებებს და ხშირად, არ არის მიმართული ამ პირთა უფლებების დაცვის სოციალური მოდელისკენ. უმეტესწილად, მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდვების მქონე პირებზე, ან კონკრეტული სახის შეზღუდვების მქონე პირთა საჭიროებებზეა მორგებული და არსებითად თანასწორი, იმავე ეკონომიკური საჭიროებების მქონე ადამიანები სარგებლის მიღმა რჩებიან. მაგალითად, თერჯოლის<sup>116</sup> მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლოთა სოციალური დახმარების პროგრამის მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის კომუნალური გადასახადების გადახდაში ხელშეწყობა. მსგავს დახმარებას მუნიციპალიტეტი ვერ სთავაზობს სხვა შეზღუდვების მქონე პირებს. ლაგოდეხის<sup>117</sup> მუნიციპალიტეტშიც მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ერთჯერადი დაფინანსებაა გათვალისწინებული და ყურადღების მიღმა ტოვებს სხვა შეზღუდვების მქონე პირებს. ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მორგებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, ზოგჯერ, ასაკის ნიშნით დისკრიმინაციულ შინაარსს ატარებს. მსგავსი სერვისის ხელმისაწვდომობაზე ასაკობრივი ზღვრის დადგენა - რეაბილიტაციისა და მკურნალობის დაფინანსების შეწყვეტა კონკრეტულ ასაკს მიღწეული ბავშვებისთვის, შესაძლოა, აფერხებდეს მკურნალობის უწყვეტობას და საფრთხეს უქმნიდეს პროგრამით მიღწეული შედეგის შენარჩუნებას. ასევე, მაგალითად, ბათუმში<sup>118</sup> არსებული ჯანდაცვის პროგრამა, 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის, ასევე, ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარებას ითვალისწინებს. ხონის<sup>119</sup> მუნიციპალიტეტში კი გათვალისწინებულია 15 წლამდე ასაკის ცერებრული დამბლის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი სეზონური საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა (ბინის ქირით უზრუნველყოფა).

ამასთანავე, მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირები გაუმართლებლად არიან გამორიცხულნი სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამიდან, რაც ამ ჯგუფს არ აძლევს საშუალებას, რომ იყვნენ ქართული საზოგადოების სრულყოფილი წევრები და ისარგებლონ ყველა იმ მომსახურებით, რაც მათთვის საქართველოს მოქალაქეების მსგავსად უნდა იყოს ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ ადეკვატური სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პირის კეთილდღეობას და ამაღლებს ინდივიდის საზოგადოებაში

<sup>116</sup> „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

<sup>117</sup> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №26, 2019 წლის 27 დეკემბერი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2020 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rb.gy/fredeu>

<sup>118</sup> ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №35 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. 2019 წლის 25 დეკემბერი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rb.gy/qkaosq>

<sup>119</sup> ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №88, 2019 წლის 7 მარტი, „ქ. ხონის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ.



სრულფასოვანი მონაწილეობის ხარისხს. აქედან გამომდინარე, როგორც ძირითადი და ბაზისური ჯანდაცვის/სოციალური პროგრამები, ასევე გარკვეული რთული კატეგორიის დაავადებათა კონტროლის მიზნით შემუშავებული სახელმწიფო პროგრამები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ პირთა ჯგუფისთვის, რომელსაც ქვეყნის ბიუჯეტის ზრდაში წვლილი შეაქვს და სამართლებრივად საქართველოს მოქალაქეთა მსგავს მდგომარეობაში იმყოფება. მაგალითად, ახალქალაქის<sup>120</sup> მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა სოციალური დახმარებით სარგებლობისთვის, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს პირადობის მოწმობის ასლი, რაც, თავის მხრივ, ყურადღების მიღმა ტოვებს ბინადრობის მოწმობის მქონე პირებს. ასევე, ახმეტის<sup>121</sup> მუნიციპალიტეტში სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტია პირადობის მოწმობა.

პრობლემურად გამოიკვეთა ასევე ასაკის ნიშნით დისკრიმინაციული ჩანაწერები, რომელთა საფუძველზეც, მაგალითად, არ არის გათვალისწინებული ხანდაზმულ პირთა ეკონომიკური დაუცველობა და ისინი ექსპლიციტურად გამოირიცხებიან ჯანდაცვის კონკრეტული პროგრამების მოსარგებლეთა რიგებიდან, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ აისახება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. ასევე, აღნიშნება სხვადასხვა ფორმალური კრიტერიუმის დაწესების პრაქტიკა, რაც ხშირად, ქორწინების გარეშე შექმნილ ოჯახებს, რომელთაც ისეთივე საჭიროებები აქვთ, როგორც ქორწინებაში მყოფ პირებს, სარგებელს მიღმა ტოვებს. შეფასებისას გამოიკვეთა პროგრამების დეტალიზებული ხასიათი, რაც მოუქნელს ხდის აღნიშნულ პროგრამებს, რის გამოც, რეალური საჭიროებების მქონე პირები სარგებლის მიმღებთა წრეში ვერ ექცევიან. მაგალითად, ქ. თბილისის<sup>122</sup> მუნიციპალიტეტში მოქმედებს დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამა.<sup>123</sup> ქვეპროგრამის საფუძველზე პროსტატის კიბოს სკრინინგის კომპონენტის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად ქალაქი თბილისი უწერიათ და ითვალისწინებს 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში, სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) გამოკვლევას.<sup>124</sup> გარდაბნის<sup>125</sup> მუნიციპალიტეტის სტუდენტების მატერიალური

<sup>120</sup> ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №29, 2019 წლის 17 დეკემბერი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rb.gy/cofquz>

<sup>121</sup> ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №19, 2019 წლის 7 მაისი; ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა.

<sup>122</sup> ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №52-10, 2020 წლის 24 იანვარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ.

<sup>123</sup> აღნიშნული ქვეპროგრამა ასევე მოიცავს: მუშუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში; კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით ორივე სქესისათვის; ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი 25-70 წლის ასაკის ჩათვლით, განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით, შესაბამისი რისკის მქონე ქალებში.

<sup>124</sup> სისხლში საერთო პროსტატის კიბოს სპეციფიკური ანტიგენის (PSA) განსაზღვრა; საერთო პროსტატის კიბოს სპეციფიკური ანტიგენის მაჩვენებლის ე.წ. რუხ ზონაში გამოვლენის შემთხვევაში, შრატში თავისუფალი PSA-სა და მათი თანაფარდობის განსაზღვრა.

<sup>125</sup> გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №20, 2019 წლის 25 დეკემბერი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამის ქვეპროგრამების დამტკიცების შესახებ; (ქვეპროგრამის კოდი 06 02 15) ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rb.gy/d5b0su>



დახმარების პროგრამა კი განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედ-მამით ობოლი 22 წლამდე, მრავალშვილიანი ოჯახებიდან და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან სტუდენტების მატერიალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

ამასთანავე, გამოკვეთილი პრობლემური საკითხების გარდა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში შემუშავებული სოციალური პროგრამა, მიზნობრიობის გათვალისწინებით, პოზიტიურად უნდა შეფასდეს, მაგალითად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში<sup>126</sup> ძალადობის მსხვერპლთა და პენიტენციური დაწესებულებიდან ახლად გამოსული, ოჯახის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ პირთა დახმარების პროგრამა. ამ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ დახმარების ოდენობა, შესაძლოა, არსებითად ვერ აუმჯობესებდეს ამ პირთა მდგომარეობას, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ხედავს ამ ჯგუფის საჭიროებებს. ასევე, იმავე არგუმენტით აღსანიშნავია საგარეჯოს<sup>127</sup> მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირთა დახმარებას ითვალისწინებს, პროგრამის ბენეფიციარები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი, მინდობით აღზრდიდან და მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვანების გამო ამორიცხული 18-24 წლის ახალგაზრდები. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში<sup>128</sup> არსებული გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მიზანია: უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები ხედავდეს იქ მცხოვრები მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს და სხვადასხვა დაუცველ ჯგუფს ჰქონდეს წვდომა ამ დახმარებებზე.

### 8.3. ანაზღაურების გარეშე სტაჟირების დისკრიმინაციული პრაქტიკა

სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზაციის კუთხით, განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგანან ადამიანები, რომლებიც სოციალურად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი

<sup>126</sup> თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №292, 2019 წლის 27 დეკემბერი, ქ. თეთრიწყარო 2020 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ; მუხლი 20; პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე და ასევე პენიტენციური დაწესებულებიდან ახლად გამოსულ, ოჯახის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ პირს; 2. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, არა უმეტეს 200 (ორასი) ლარისა.

<sup>127</sup> საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №19 2019 წლის 27 დეკემბერი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

<sup>128</sup> ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №18, ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

პროგრამებით სარგებლობასთან ერთად, მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობებს. პარადოქსულია, მაგრამ კარიერული წინსვლისთვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმის პროცესში ადამიანები არსებით დაბრკოლებებს სწორედ მათი სოციალური მდგომარეობის გამო აწყდებიან. ამის ნათელი გამოხატულებაა საქართველოში არსებული სტაჟირების სისტემა.<sup>129</sup>

სტაჟირების გავლა და გარკვეული პროფესიული გამოცდილება დღესდღეობით დასაქმების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული წინაპირობაა. თუმცა სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგები აჩვენებს, რომ საჯარო დაწესებულებებში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლისა და გავლილი სტაჟირების სამუშაო სტაჟში ჩათვლის შესაძლებლობები საკმაოდ მწირია. მსგავს მოცემულობაში, ახალგაზრდების დიდ ნაწილს, მათ წინაშე არსებული ფინანსური გამოწვევების გამო, ანაზღაურების გარეშე სტაჟირების გავლის ფუფუნება არ აქვს, რაც მათ პროფესიული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას უკარგავს და მატერიალურად მეტად უზრუნველყოფილ თანატოლებთან შედარებით, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

ამდენად, ანაზღაურების გარეშე სტაჟირების გავლა პირდაპირ კავშირშია ფინანსურ შესაძლებლობებთან, რაც, სოციალური გარიყულობის მოცემულობას ქმნის და სამომავლოდ, ხელს უწყობს ისედაც არსებული სოციალური უთანასწორობის მეტად გაღრმავებას. აქედან გამომდინარე, უპირობო აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოში არსებული სტაჟირების სისტემის მრავალმხრივი დახვეწა, განსაკუთრებით, სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ პროგრამებში. ეს კი, თავის მხრივ, თანასწორობის პრინციპის პერსპექტივიდან არსებული გამოწვევების სიღრმისეულ გააზრებას საჭიროებს.

## 9. დისკრიმინაციის წახალისება

დისკრიმინაციასთან ეფექტიანად ბრძოლის თვალსაზრისით, ცალკეულ შემთხვევებში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის პარალელურად, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ისეთი შემთხვევების გამოვლენასა და პრევენციას, რომლებიც ხელს უწყობს დისკრიმინაციის წახალისებას. უფრო მეტიც, დისკრიმინაციის წახალისება, შესაძლოა, საზოგადოებისთვის დისკრიმინაციის ცალკეულ ფაქტზე მეტი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს, ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში, დისკრიმინაციის წახალისების კონტექსტი სცდება კონკრეტულ შემთხვევას და მჭიდრო კავშირშია საზოგადოებაში დამკვიდრებულ მანკიერ სტერეოტიპებთან.

დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების მხრივ, სამწუხაროდ, არც ეს საანგარიშო პერიოდი იყო გამონაკლისი. თანასწორობის უფლების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევაა პოლიტიკოსების თუ სხვა საჯარო პირების მხრიდან გაკეთებული დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამები. ამ თვალსაზრისით, წელს ასევე პრობლემური იყო მედიით გასული სიუჟეტები. დისკრიმინაციის წამახალისებელი გარემო ცალსახად შესამჩნევია ქალების,

<sup>129</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 20 ივლისის ზოგადი წინადადება საქართველოს პარლამენტს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/jflukw>

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ლგბტ+ თემის წარმომადგენლების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ.

### 9.1. დისკრიმინაციის წახალისება საჯარო პირების მიერ

საჯარო სივრცეში გაკეთებული სექსისტური, ქსენოფობიური თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციული კომენტარების სიმრავლე მოწმობს, რომ ბევრ პოლიტიკოსს თუ სხვა საჯარო პირს არ აქვს გაცნობიერებული პასუხისმგებლობა, რაც მათ თანასწორუფლებიანობის დაცვისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში ეკისრებათ.

საანგარიშო პერიოდში, გენდერული სტერეოტიპების წახალისების ჭრილში, განსაკუთრებით მწვავე იყო<sup>130</sup> „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარის, შალვა ნათელაშვილის მიერ ფეისბუქის გვერდზე გაკეთებული განცხადება, რომლითაც იგი გაუპატიურების სისხლისსამართლებრივი რეგულირების ცვლილებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მსხვერპლი, ხშირ შემთხვევაში, თავად არის მაპროვოცირებელი ან პროვოკატორი.<sup>131</sup> არგუმენტაცია, რომელიც შალვა ნათელაშვილმა გამოიყენა საკანონმდებლო ცვლილებების გასაკრიტიკებლად, ახალისებს ზოგადად ქალთა მიმართ დისკრიმინაციას და განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ძალადობაგამოვლილ ან/და ძალადობის სავარაუდო მსხვერპლ ქალებზე. მიუღებელია, პრაქტიკის განზოგადება და პრობლემის წარმოჩენა ისე, თითქოს გაუპატიურების მსხვერპლი ქალები, როგორც წესი, პირადი მიზნებით მოქმედებენ და, უმეტეს შემთხვევაში, დანაშაულს ადგილი არ აქვს. ბუნებრივია, პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეს აქვს უფლება, საკუთარი მოსაზრებები და შეფასებები, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, საჯაროდ გაავრცელოს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შალვა ნათელაშვილს, როგორც პოლიტიკურ ფიგურას და საჯარო პირს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია, თავისი მოსაზრება იმგვარად ჩამოაყალიბოს, რომ არ წახალისოს დისკრიმინაცია რომელიმე ნიშნის საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების ნაწილი, კვლავ უსაფუძვლოდ აყენებს ეჭვქვეშ ქალებზე ძალადობის შემთხვევებს, პრობლემური იყო პარლამენტის წევრების - ალექსანდრე ელისაშვილის<sup>132</sup> და ლადო კახაძის<sup>133</sup> გამონათქვამები, რომელთა თანახმად, წარმატებული კაცი ქალზე ვერ იძალადებდა. სექსისტური შინაარსის ფრაზა გამოიყენა ევროპული საქართველოს ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით ბაქრაძემაც, ჟურნალისტების მიმართ.<sup>134</sup> ინტერვიუს ჩაწერის წინ, როცა რამდენიმე ჟურნალისტი კითხვას ერთდროულად სვამდა,

<sup>130</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 20 ივლისის ზოგადი წინადადება „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარეს, შალვა ნათელაშვილს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/x1evqv>

<sup>131</sup> შალვა ნათელაშვილი, 2020 წლის 13 მაისს, სოციალური ქსელის „Facebook“-ის მეშვეობით გამოეხმაურა ონლაინ გამოცემა „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდზე განთავსებულ სტატიას: „ესაა სრული იდიოტიზმი. ჯერ გაუპატიურების მუხლით აღძრულ უამრავ საქმეზე, იგივე ჩემი გამომძიებლობის პერიოდში, საბოლოოდ დგინდებოდა, რომ ე.წ. მსხვერპლი თვითონ იყო მაპროვოცირებელი, ან პროვოკატორი რაიმე სარგებლის გამოსაძალად ან ცოლად გასაყოლად. ამ ფორმულირებით კანონის მიღება გამოიწვევს იმას, რომ ნებისმიერი მამაკაცი შეიძლება დაიჭიროს თუ ე.წ. „დაზარალებულს“ ნებისმიერ დროს ეს მოეხსიათება“. ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/lgn4tz>

<sup>132</sup> ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39Tg2qh>

<sup>133</sup> ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dHytzg>

<sup>134</sup> ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rcMPh7>

ბაქრადემ განაცხადა, რომ ბედნიერია *აღლევებული ახალგაზრდა გოგოების გარემოცვაში*, მაგრამ ისინი უნდა დამშვიდებულიყვნენ.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური დამოკიდებულება, რაც, ხშირ შემთხვევაში, მათ მიმართ პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოიყენებოდა. მაგალითად, გორის საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით რაზმაძემ, „ევროპული საქართველოს“ ლიდერს, ელენე ხოშტარას, *ზნედაცემული უწოდა და აღნიშნა, რომ ქალის სახე აქვს დაკარგული! ქალი არის კდემამოსილი!*<sup>135</sup> დავით რაზმაძის მსგავსი შეფასება მოჰყვა ელენე ხოშტარასა და ირმა ნადირაშვილის მიერ პარლამენტის სხდომათა დარბაზში საბჭოთა კავშირის ჰიმნის ჩართვას, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე, არჩილ თალაკვაძე ყოველწლიურ ანგარიშს წარადგენდა და რუსულ ოკუპაციაზე საუბრობდა. პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერმა, ირაკლი ოქრუაშვილმა კი საკუთარ „ფეისბუქ“ გვერდზე სექსისტური პოსტი გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნა, რომ *შევიდოდა კაცი პარლამენტში ქოცების ერთ-ორი ნაშის ხათრით.*<sup>136</sup> კიდევ ერთი შემთხვევა 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის, კონსტანტინე შარაშენიძის მხრიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, „ედპ“ წარმომადგენლის, მარიამ მეხრიშვილის მიმართ გაკეთებულ სექსისტურ კომენტარს ეხებოდა - *გათხოვდი და ჭკუას ეწიე.*<sup>137</sup> საკრებულოს სხდომაზე გამართულ დისკუსიაზე *მატყუარა პატარა გოგო* უწოდა გორის საკრებულოს წევრმა ქართული ოცნებიდან, ზურაბ ყაჯრიშვილმა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს, ვასილისა ჯაბახიძეს.<sup>138</sup> ამდენად, ძალიან ხშირად, ქალების წინააღმდეგ ოპონირება არ მიმდინარეობდა პროფესიული კრიტიკის ჩარჩოში და მიზნად ისახავდა მათ დამცირებასა და შეურაცხყოფას დადგენილი საზიანო სტერეოტიპების საფუძველზე, რაც ქალთა მიმართ სიძულვილის წამახალისებელია.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის ყურადღება მიიქცია ქსენოფობიურმა გამონათქვამებმაც. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ახალი კორონავირუსის პირველი ტალღის პერიოდში აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ მარნეული-ბოლნისის საკარანტინე ზონად გამოცხადებასთან დაკავშირებით შემდეგი სახის კომენტარი გაკეთა - *„უნდა ჩაკეტო სოფელში და ამოიხოცონ კ ебённой матери!“*<sup>139</sup> ამავე პერიოდში განსაკუთრებით საგანგაშო იყო საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების მცხოვრებლების მიმართ კრიტიკა ეთნიკურ წარმომავლობაზე თუ სხვა პირად მახასიათებელზე აქცენტირებით. პრობლემის განხილვა ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების ეთნიკური კუთვნილების ჭრილში, აძლიერებს ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებულ სტიგმებს, აღვივებს

<sup>135</sup> ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/ocqc2h> ; ვიდეო ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mT3W4T>

<sup>136</sup> ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/fkmbrrq>

<sup>137</sup> მხარეთა შორის შელაპარაკება მოჰყვა მერის მიერ ტელეფონის საშუალებით ლაივ რეჟიმში საარჩევნო უბანზე მიმდინარე პროცედურების გადაცემას, როდესაც მერმა მარიამ მეხრიშვილს შემდეგი სიტყვებით მიმართა - *„გათხოვდი და ჭკუას ეწიე“*; ვიდეო ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2lj7huY>

<sup>138</sup> ვიდეო ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/acc0uj>

<sup>139</sup> კომენტარის სქრინი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ghm0Dj>



დეზინტეგრაციულ პროცესს და მათ სოციალურ გარიყვას ახალისებს. მსგავს ვითარებაში, მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ თავი შეიკავოს ეთნიკური უმცირესობების მიმართ შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის წამახალისებელი დამოკიდებულების გამოვლენისაგან.<sup>140</sup> ასევე პრობლემური იყო სოფელ ბუკნარში მუსლიმების მიერ მეჩეთის მშენებლობის მოთხოვნასთან დაკავშირებული მოვლენებისას პარლამენტარ ნინო წილოსანის მიერ ქრისტიანი და მუსლიმი თემების *ქართველებად და მუსლიმებად* მოხსენიება.<sup>141</sup> ამასთანავე, საზოგადოების ნაწილის კრიტიკის საგანი გახდა მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან დაგვიანებული რეაგირება სასულიერო პირების ანტისემიტურ განცხადებებთან დაკავშირებით.<sup>142</sup>

ახალ კორონავირუსთან ბრძოლის პროცესში გამოიკვეთა სტერეოტიპული დამოკიდებულება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ადამიანების მიმართაც. ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, მაკა სოლოლაშვილმა, მედპერსონალის დაინფიცირება შემდეგნაირად ახსნა - *„ჩვენ მოგვიჩია, სამწუხაროდ, არაადეკვატურ რამდენიმე პაციენტთან ურთიერთობა, რომლებსაც ფსიქიკური პრობლემები ჰქონდათ, ჰქონდათ პერსონალთან პირადი შეხება“*<sup>143</sup>, რითაც ხელი შეუწყო ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების უარყოფით კონტექსტში წარმოჩენას. ამგვარი გამონათქვამები აღრმავებს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ საზოგადოებაში არსებულ სტიგმას და ახალისებს არაეთიკურ, ხშირად, სასტიკ დამოკიდებულებას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანების მიმართ. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ადამიანები, წლებია, უდიდეს ზეწოლას განიცდიან და გარიყულნი არიან საზოგადოების მხრიდან, რაც სწორედ ქვეყანაში ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემაზე არაორიენტირებული მიდგომებითა და საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული სტიგმითა და სტერეოტიპებით არის განპირობებული.

საანგარიშო პერიოდში, ასევე საყურადღებო იყო საპატრიარქოს ფონდის მმართველი საბჭოს წევრის, გიორგი ანდრიაძის განცხადებაც, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ C ჰეპატიტისა და აივ-ინფექციის მატარებელი ადამიანები შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდნენ სხვებისთვის საერთო კოვზით ზიარებისას.<sup>144</sup> მსგავსი შინაარსის განცხადება ხელს უწყობს C ჰეპატიტისა და აივ-ინფექციის მქონე ადამიანების მიმართ უკვე არსებული მცდარი წარმოდგენებისა და სტერეოტიპების გაძლიერებას. შესაძლოა, განცხადების ავტორის მიზანი არ ყოფილა C ჰეპატიტის და აივ-ინფექციით დაავადებული ადამიანების სტიგმატიზაცია, თუმცა, გავრცელებული

<sup>140</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 26 მარტის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36PAaIG>

<sup>141</sup> ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/1tkao0>

<sup>142</sup> სახალხო დამცველის განცხადება ხელმისაწვდომია: [shorturl.at/fuxNS](http://shorturl.at/fuxNS)

<sup>143</sup> კომენტარი ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/hnqlqd>

<sup>144</sup> გიორგი ანდრიაძემ, 2020 წლის 16 აპრილს, „TV-პირველის“ ეთერში ისაუბრა ერთი კოვზით ზიარების წესზე და განაცხადა: *„თქვენ იცით, რომ მარტო კორონავირუსი კი არა, ადამიანები რომლებიც საუკუნეებია ეზიარებიან სხვადასხვა გადამდები დაავადებებით არიან დაავადებულნი. C ჰეპატიტი გაგიგიათ თქვენ? თქვენ იცით, რომ C ჰეპატიტით დაავადებული უამრავი ადამიანი ეზიარება? შიდასით დაავადებული ადამიანი ეზიარება? რატომ არ გადადის ეს დაავადებები?... რატომ ვერ დაავადდნენ? და ყველაზე მთავარი კიდევ ეს [კორონავირუსი] არის ჩვეულებრივი ვირუსი, რომლისგანაც ძალიან დიდი პროცენტი იკურნება“*. ვიდეო ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2JoH11v>



შეფასება ცალსახად ეფუძნება C ჰეპატიტისა და აივ-ინფექციის მქონე ადამიანების შესახებ საზოგადოებაში არსებულ არასწორ წარმოდგენებს. ამის გათვალისწინებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, საჯარო პირებმა არ შეუწყონ ხელი სტერეოტიპების გაძლიერებას და საზოგადოებაში აგრესიული დამოკიდებულების გაზრდას C ჰეპატიტის და აივ-ინფიცირებული ადამიანების მიმართ. ამასთან, „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას მიმართ ჰომოფობიური ტერმინი გამოიყენა პარლამენტარმა დიმიტრი სამხარაძემ.<sup>145</sup>

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ეფექტიანად ბრძოლისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს წარმომადგენლებისა თუ საზოგადოების კონკრეტული ჯგუფებისთვის ავტორიტეტულმა სხვა პირებმა, თავიანთ პასუხისმგებლობასთან ერთად, აღიარონ და კრიტიკულად გაიაზრონ ცალკეული ჯგუფებისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის ის უარყოფითი შედეგი, რაც დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების გავრცელებას მოჰყვება.

## 9.2. დისკრიმინაციის წახალისება მედიაში

დისკრიმინაციის წახალისების მიმართულებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა მედიაში სექსისტური, ჰომოფობიური თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციული გამოხატვის შემთხვევები. მათ შორის, ახალი კორონავირუსის პირველი ტალღის პერიოდში, დისკრიმინაციის წამახალისებლად შეფასდა „მთავარ არხზე“ გასული სიუჟეტი, რომელშიც საუბარი იყო ახალ კორონავირუსთან მიმართებით საზოგადოების ნაწილის უპირატესობებზე, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით.<sup>146</sup>

ასევე, სახალხო დამცველს მომართეს ალიანსმა, „ფემინა“ და „განათლებისა და შრომის ასოციაციამ“, რომლებიც სადავოდ ხდიან მედიით გავრცელებულ სიუჟეტებსა და სტატიებს. განმცხადებლებისათვის პრობლემური იყო ნიკოლოზ ბასილაშვილსა და მის მეუღლეს შორის დაპირისპირებისას გამოკვეთილი გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევები;<sup>147</sup> გადაცემა „პროფილში“ გასული სიუჟეტი, რომელშიც გოგო შვილის დაბადება ნაკლებად სასურველად არის წარმოჩენილი;<sup>148</sup> ია ფარულავას გადაცემა „ფარული კონვერტი“, რომელშიც ლგბტ+ თემის წინაშე არსებული პრობლემები წარმოჩენილია როგორც გასართობი სანახაობა;<sup>149</sup> ამასთანავე, განმცხადებლები მიუთითებდნენ საინფორმაციო სააგენტო „რეზონანს დეილიში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე,<sup>150</sup> რომელიც ეხებოდა გოგონას, რომლის დაბადების დღესაც ესწრებოდა გარდაცვლილი გიორგი შაქარაშვილი, სტატიის შინაარსი კი მკითხველს უღვივებდა აგრესიას მდედრობითი სქესის წარმომადგენლის, როგორც დანაშაულის მაპროვოცირებელი პირისადმი.

<sup>145</sup> ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/qndiqv>

<sup>146</sup> ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/3bi2fw>

<sup>147</sup> <https://rb.gy/6fkqcb>

<sup>148</sup> <https://rb.gy/ilriti>

<sup>149</sup> <https://rb.gy/elpzhm>

<sup>150</sup> <https://rb.gy/kynivd>

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის. ასევე, იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს შუღლის ილუსტრირებას.<sup>151</sup>

აღსანიშნავია, რომ მედიის როლი განუზომლად დიდია დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების ფორმირების პროცესში, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, მედია ყურადღებით მოეკიდოს საკუთარ როლს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებისა და სტიგმის დაძლევის პროცესში და ჟურნალისტები, განსაკუთრებით, სენსიტიური საკითხების გაშუქებისას მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ, რათა თავიდან აიცილონ სხვადასხვა ნიშნით პირის თუ პირთა ჯგუფის დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევები.

## 10. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ხარვეზები

გასული საანგარიშო პერიოდის მსგავსად, კვლავ გამოწვევად რჩება სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, კონკრეტული დაუცველი ჯგუფების საზოგადოებაში არსებული მიმდებლობის დაბალი მაჩვენებელი და უარყოფითი სტერეოტიპები, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალდამცავი ორგანოების არასაკმარისი მზაობა, ამგვარი შემთხვევები შესაძლო თანასწორუფლებიანობის შელახვის კონტექსტში შეაფასონ, გამოძიების პროცესში სიძულვილის მოტივის გამოსაკვეთად. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დანაშაულის გამოძიებისას სავარაუდო სიძულვილის გამოკვეთას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულების, არამედ მომავალში მსგავსი დანაშაულის თავიდან ასაცილებლადაც. სახალხო დამცველის წარმობაში არსებული საქმეები, ამ საანგარიშო პერიოდში, უმეტესწილად ეხება რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობისა და ჰომო/ტრანსფობიის ნიადაგზე ჩადენილ სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს.

სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ მომართვიანობა სტაბილურად მაღალია იეჰოვას მოწმეების მხრიდან, რომელთა შორისაც იყო საქმე, რომელიც ეხებოდა ჯერ კიდევ 2019 წლის 10 აპრილს მომხდარ ფაქტს, რომელზეც ბრალდებული ჯერაც არ არის გამოკვეთილი, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, განმცხადებლების პრეტენზიები ასევე უკავშირდებოდა გამოძიების გაჭიანურებას. აღნიშნულ საქმეში კარდაკარ მოსიარულე იეჰოვას მოწმეებს ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლთან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. საქმის შესწავლის დაწყების შემდეგ სახალხო დამცველს ეცნობა, რომ იეჰოვას მოწმეების მიმართ ღვთისმსახურებაში ხელის შეშლის ფაქტზე,

<sup>151</sup> მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KI0FqN>

ჩატარებული გამოძიების შედეგად, შეიცვალა კვალიფიკაცია და გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (დევნა რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით) წარიმართა, ხოლო განმცხადებლები ცნეს დაზარალებულებად. ამ საქმეზე ბრალი კონკრეტული პირისთვის ამ დრომდე არ წარუდგენიათ.

ერთ-ერთი განცხადების მიხედვით, იეჰოვას მოწმეებს, რომლებიც რელიგიური მსახურებისთვის იმყოფებოდნენ ნინოწმინდის რაიონში, სოფელ განძაში, სოფლის მცხოვრებლებთან ბიბლიურ თემებზე სასაუბროდ, სოფლის მოძღვარმა აუკრძალათ რელიგიური მსახურების შესრულება. მოძღვრის მხრიდან იეჰოვას მოწმეების მიმართ ადგილი ჰქონდა როგორც სიტყვიერ, ისე ფიზიკურ შეურაცხყოფას. როდესაც ერთ-ერთმა პირმა საპატრულო პოლიციაში დარეკვა დააპირა, მოძღვარმა მას წაართვა ტელეფონი, თუმცა, მოგვიანებით, სხვა პირის მეშვეობით დაუბრუნა. განმცხადებლების მითითებით, ეს ამ სასულიერო პირისგან მათთვის რელიგიურ მსახურებაში ხელის შეშლის ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა. პროკურატურის ცნობით, მითითებულ საქმეზე დაწყებულია სისხლის სამართლის გამოძიება შესაძლო დევნის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით (დევნა რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე გამოიკითხნენ მოწმეები, ამასთანავე, საქმის ფარგლებში მიმდინარეობს სიძულვილის მოტივის შესწავლაც, თუმცა, ამ ეტაპზე კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის.

ასევე, გვხვდება შემთხვევები, როდესაც ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო სიძულვილით ჩადენილი ფაქტის გამოძიებისას, საგამოძიებო ორგანოს ცნობით, შეუწყნარებლობის მოტივის გამოსაკვეთად, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა, ბუნდოვანი რჩება, კონკრეტულად რა საგამოძიებო მოქმედებებს მიმართეს ასეთი მოტივის გამოსავლენად. ერთ-ერთი საქმე შეეხება 2020 წლის 14 ნოემბერს თემქაზე ახალგაზრდა მამაკაცის ცივი იარაღით მოკვლისა და ერთი ადამიანის დაჭრის ფაქტს, სადაც ბრალდებულის ადვოკატმა დანაშაულის ჩადენის მოტივად ის გარემოება დაასახელა, რომ გარდაცვლილმა, ბრალდებულის მიმართ *გამოიჩინა სექსუალური ლტოლვა და მას არატრადიციულ სექსუალურ კონტაქტს სთავაზობდა*.<sup>152</sup>

ლგბტ+ ადამიანების მიმართ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ნაწილი შეეხება ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, ცემისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტებს, ასევე, ლგბტ+ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციის ოფისზე თავდასხმისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევებს. განმცხადებლები ასევე მიუთითებენ, რომ, რიგ შემთხვევებში, პირები, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას ადგილზე პოლიციის მისვლის შემდგომაც განაგრძობდნენ, რაზეც სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებს რეაგირება არ ჰქონიათ. ამასთანავე, მიუხედავად გონივრული ვადის გასვლისა, რიგ საქმეებზე კონკრეტულ ინციდენტში მონაწილე პირები ჯერაც არ უცნიათ დაზარალებულად, რაც მათ სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომას უზღუდავთ. სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეებიდან ასევე იკვეთება ძალადობის ფაქტები ლგბტ+ თემის არასრულწლოვანი

<sup>152</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/tokzbi>

წევრების მიმართ, რომელსაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და სიცოცხლის ხელყოფით დაემუქრნენ, ასევე, გამოიკვეთა ლგბტ+ ადამიანების ოჯახის წევრებისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტები.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მედიით გავრცელებული მასალის მეშვეობით<sup>153</sup> ცნობილი გახდა პანკისის ხეობაში შორტებით გასვლის გამო მამა-შვილზე თავდასხმის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცსა და მის არასრულწლოვან შვილს, სამი ახალგაზრდა დაესხა თავს სოფელ ყვარელწყლის გადასახვევთან მდებარე კაფესთან. თავდასხმის შედეგად დაზიანებები მიიღო როგორც მამაკაცმა, ისე 16 წლის ახალგაზრდამ. აღნიშნულ საქმეზე სახალხო დამცველს ეცნობა, რომ გამოძიების ფარგლებში გამოიკითხნენ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირები, დაინიშნა შესაბამისი სამედიცინო ექსპერტიზა. მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, მამაკაცისა და მისი არასრულწლოვანი შვილის მიმართ დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ძალადობის ფაქტზე ბრალი სამ პირს წარედგინა. მედიით ასევე გავრცელდა ინფორმაცია 2020 წლის 3 ოქტომბერს თბილისში, მარჯანიშვილზე, აღმაშენებლის №116-ში თურქულ რესტორან „ანკარა სთაილში“ ცივი იარაღით უცხოეთის მოქალაქეების დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა, სახალხო დამცველს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამ ეტაპზე დანაშაულის ჩადენის ეთნიკური ან სიძულვილით მოტივირებული მიზეზი არ გამოკვეთილა. სახალხო დამცველი ყურადღებით განაგრძობს გამოძიების მიმდინარეობის მონიტორინგს.

სახალხო დამცველი გაუმჯობესებულ ტენდენციად მიიჩნევს, რომ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესწავლისას, განსაკუთრებით, იეჰოვას მოწმეთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში, წინა წლების პრაქტიკისგან განსხვავებით, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით, რომელიც თავის თავში მოიცავს სიძულვილის მოტივს, თუმცა, აღნიშნულს სამართლებრივ ეფექტიანობას უკარგავს დროში გაჭიანურებული შესწავლის პროცესი. საქმეთა არადროული შესწავლის არსებული პრაქტიკა სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლს უსამართლობისა და დაუცველობის გრძნობას უჩენს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სამართალდამცავი ორგანოსადმი ნდობას. უმეტეს შემთხვევაში, მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება, რომ საქმეზე ტარდება საგამოძიებო მოქმედებები შესაძლო სიძულვილის მოტივის გამოსაკვეთად, და გრძელდება გამოძიება, თუმცა, კონკრეტული პირებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების და ბრალდებულად ცნობის მაჩვენებელი მკვეთრად დაბალია.

**11. სახალხო დამცველის საქმიანობა თანასწორუფლებიანობის დაცვის მიმართულებით**  
2014 წლიდან, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველს მინიჭებული აქვს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მანდატი, რომლის ფარგლებშიც შეისწავლის თანასწორუფლებიანობის დარღვევის და დისკრიმინაციის წახალისების სავარაუდო შემთხვევებს და საგანმანათლებლო საქმიანობის მეშვეობით, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში, თანასწორობის პრინციპის შესახებ,


<sup>153</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/53nmmw>

ინფორმაციას ავრცელებს. დისკრიმინაციის ან დისკრიმინაციის წახალისების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, სახალხო დამცველი, შესაბამის საჯარო უწყებას, ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს რეკომენდაციით ან ზოგადი წინადადებით მიმართავს.

### 11.1 საქმისწარმოება

წინა საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა სავარაუდო დისკრიმინაციის 155 ახალი ფაქტი განიხილა, 2020 წლის განმავლობაში კი, მომართვის თუ საკუთარი ინიციატივის საფუძველზე სულ 113 ახალი შემთხვევა შეისწავლა. ამათგან, 66% შემთხვევაში განმცხადებლები საჯარო უწყებების მხრიდან ჩადენილ დისკრიმინაციაზე, 34%-ში კი - ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან მომდინარე უთანასწორო მოპყრობაზე მიუთითებდნენ. 2019 წელს, მეტ-ნაკლებად, მსგავსი იყო ეს მონაცემი და საჩივრების 61% - საჯარო სექტორს, 39% კი - კერძო სექტორს მიემართებოდა.

მოპასუხეები სფეროების მიხედვით




რაც შეეხება დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს, განმცხადებლები, ყველაზე მეტ - შემთხვევების 18%-ში ამ საანგარიშო პერიოდშიც **სქესის/გენდერის** ნიშნით დისკრიმინაციაზე მიუთითებდნენ, შარშან ეს მაჩვენებელი 16% იყო. 2019 წელს მომართვიანობის 14% და 7% **განსხვავებული მოსაზრების და პოლიტიკური შეხედულების** გამო უთანასწორო მოპყრობის ფაქტებს ეხებოდა, წელს კი ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, 12% და 9%-ია. შემცირებულია მომართვიანობა **რელიგიის** ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებთან მიმართებით - წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემის - 14%-სგან განსხვავებით, წელს ამ საკითხზე მხოლოდ განმცხადებლების 6% მიუთითებდა. ამის საპირისპიროდ, 4%-დან 6%-მდეა გაზრდილი განცხადებები **ეთნიკური წარმომავლობის** ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებთან დაკავშირებით. ამასთანავე, მნიშვნელოვნად - 3%-დან 9%-მდე გაიზარდა მომართვიანობა **შეზღუდული შესაძლებლობის** გამო არათანაბარ მოპყრობასთან დაკავშირებით. **სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის** გამო დისკრიმინაციის სავარაუდო შემთხვევებზე მომართვიანობა წელს 14%-დან 6%-მდე შემცირდა.



ასაკის და ეროვნების/მოქალაქეობის გამო დისკრიმინაციაზე, წინა საანგარიშო პერიოდში, განმცხადებლების 2% და 7% მიუთითებდა, წელს კი ეს მონაცემები, შესაბამისად, 7% და 8%-მდე გაიზარდა. 2020 წელს წარმოებაში მიღებული განცხადებების ყველაზე დიდი ნაწილი - 20% ამჯერადაც **სხვა ნიშნით** სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებს ეხებოდა, წინა პერიოდში კი, ეს მონაცემი 21%-ს შეადგენდა.


დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი  
საანგარიშო პერიოდში - 113 ახალი განცხადება



ამასთანავე, განმცხადებლების 16%, სახალხო დამცველის აპარატში, საქმეს წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოებდა, რომელთაგან 9% „კოალიცია თანასწორობისთვის“<sup>154</sup> წევრი ორგანიზაციები იყვნენ. 2019 წელს სახალხო დამცველს წარმომადგენლის მეშვეობით განმცხადებელთა 24% მომართავდა, მათ შორის, 12% - „კოალიცია თანასწორობისთვის“ ორგანიზაციები.

<sup>154</sup> „კოალიცია თანასწორობის“ წევრები არიან: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „საფარი“, „უფლებები საქართველო“, „იდენტობა“, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“, „თანასწორობის მოძრაობა“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“.

## წარმომადგენლობა



### 11.2. გადაწყვეტილებები

2020 წელს სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ 21 რეკომენდაცია, დისკრიმინაციის წახალისების თავიდან აცილების საკითხზე კი - 9 ზოგადი წინადადება მოამზადა. ამათგან, 16 გადაწყვეტილება საჯარო უწყებებს, 14 კი - კერძო პირებს მიემართებოდა. საანგარიშო პერიოდში, დისკრიმინაციის საკითხებზე, სახალხო დამცველმა ასევე წარადგინა 2 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

მნიშვნელოვანია, რომ კერძო იურიდიული პირების მიერ რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელი გაზრდილია. მაგალითად, წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციის<sup>155</sup> მიღების შემდეგ, შპს „მელვინეობა ხარებას“ ცნობით, კომპანიის დირექტორის ბრძანებით, იურიდიულ და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ ერთეულებს დაევალა, საჭიროების შემთხვევაში, შიდა დოკუმენტაციის დისკრიმინაციის ამკრძალავ კანონმდებლობასთან მისადაგება და ამ რეგულაციების დასაქმებულებისთვის დამატებით გაცნობა; დისკრიმინაციის ამკრძალავი საკანონმდებლო ნორმების დაცვის კონტროლი და, დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ამასთანავე, მოპასუხეებმა, რომლებმაც ლგბტ+ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციას, ღონისძიების ჩასატარებლად, დისკრიმინაციული საფუძვლით არ გადასცეს სივრცე, გაიზიარეს რეკომენდაცია<sup>156</sup> - როგორც სახალხო დამცველს ააიპ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკიდან ეცნობა,

<sup>155</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 17 ნოემბრის რეკომენდაცია შპს „მელვინეობა ხარებას“, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/shauaq>

<sup>156</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 იანვრის რეკომენდაცია სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს“, ააიპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას“, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზას“, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/wkv3fr>

დირექცია რეკომენდაციას გაითვალისწინებს მომავალი საქმიანობისას; სსიპ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციით კი, დისკრიმინაციული მოპყრობის თავიდან აცილების მიზნით, ბრძანებით გაიწერა ღონისძიებების ჩატარების წესი და სტრუქტურულ ერთეულებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები. სამწუხაროდ, ამავე რეკომენდაციის პასუხად ინფორმაცია არ მოუწოდებია მესამე მოპასუხეს - შპს „მუზას“.

აღსანიშნავია დამსაქმებლების მხრიდან სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემდეგ რეაგირების შემთხვევები. მაგალითად, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასიდან“ სახალხო დამცველს ეცნობა, რომ სექსუალური შევიწროების ნებისმიერი ფორმის თავიდან აცილების და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, კომპანია გადახედავს შიდა რეგულაციებს; ხოლო პირი, რომლის მხრიდანაც შევიწროების ფაქტი დადგინდა<sup>157</sup>, კომპანიაში აღარ მუშაობს. შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერას“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით კი, ექიმთან, რომელმაც, სახალხო დამცველის რეკომენდაციის თანახმად, სექსუალური შევიწროება ჩაიდინა<sup>158</sup>, შრომითი ხელშეკრულება შეწყდა.

სექსუალური შევიწროების დადგენის საპასუხოდ ეფექტიანი ღონისძიება გაატარა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომაც, რომლის მიერ დაკონტრაქტებულმა ექიმმა კარანტინში მყოფი ქალი შეავიწროვა.<sup>159</sup> სააგენტოს ცნობით, მუშაობა დაიწყო სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის და დასაქმებულების და მომსახურების მომწოდებლების ამ საკითხზე ინფორმირების ღონისძიებების შესამუშავებლად.

თუმცა, რეკომენდაციის განხილვის შედეგების შესახებ, სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის მოწოდება საჭიროდ არ მიიჩნიეს კერძო კომპანიებმა, რომლებსაც, დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემცველი განცხადებების თავიდან აცილება ეთხოვათ,<sup>160</sup> უძრავი ქონების აგენტმა, რომელმაც ბინის მიქირავებაზე ტრანსგენდერ ქალს უარი დისკრიმინაციულად უთხრა<sup>161</sup> და შპს „ნიუტონის რობოტიკის სკოლაში“, რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს, საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად, სათანადო პირობები არ შეუქმნა.<sup>162</sup>

გარდა ამისა, სამუშაო ადგილზე შევიწროების თუ შრომითი უფლებების სხვაგვარად დისკრიმინაციული შეზღუდვის შემთხვევების აღმოფხვრის აუცილებლობა არ გაუზიარებიათ,

<sup>157</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 13 აპრილის რეკომენდაცია და.ა.-ს და შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/361kiCI>

<sup>158</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 13 აპრილის რეკომენდაცია ი.ბ.-ს და სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fwhZum>

<sup>159</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 29 ივნისის რეკომენდაცია ნ.ბ.-ს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2J8kJSX>

<sup>160</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 19 ნოემბრის ზოგადი წინადადება კერძო კომპანიებს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/3uacng>

<sup>161</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 21 დეკემბრის რეკომენდაცია ლ.ს.-ს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/ckvqlj>

<sup>162</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 20 ივლისის რეკომენდაცია შპს „ნიუტონის რობოტიკის სკოლის“ დირექტორს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/mubxoe>

მაგალითად, სსიპ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას<sup>163</sup>, სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს<sup>164</sup>, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას<sup>165</sup> და სს „თელასს“.<sup>166</sup>

დადებითი პრეცედენტი იყო, რომ შეფერხების მიუხედავად<sup>167</sup>, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის წევრმა აბიტურიენტებმა ერთიანი ეროვნული გამოცდები მათი რელიგიით დაშვებულ დღეს ჩააბარეს; ასევე, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ 10 წლამდე და 10 წლის ზემოთ არასრულწლოვანთა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ რეგულაციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების მიმართულებით მუშაობა დაწყებულია და რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის აპარატის და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა.<sup>168</sup>

აღსანიშნავია სამხარაულის ეროვნული ბიუროს ინფორმაცია, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, ექსპერტიზის ჩატარებისას, დისკომფორტის თავიდან აცილების მიზნით, იგეგმება ქალი ექსპერტების დასაქმება, ასევე, იმ თანამშრომლებს, რომლებსაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის ექსპერტიზის ჩატარება ევალებათ, მსხვერპლთან კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ტრენინგი ჩაუტარდებათ.<sup>169</sup> ამასთანავე, მნიშვნელოვანი იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის პასუხი, რომ ტრანსგენდერ პატიმარს, რომელიც სათანადო ჰორმონული მკურნალობის მიღების მხრივ დაბრკოლებას აწყდებოდა,<sup>170</sup> დაუდგინდა დიაგნოზი და შესაბამისი მკურნალობა დაენიშნა.

სამწუხაროდ, საჯარო უწყებები არც ამ საანგარიშო წელს გამოთქვამდნენ იმ რეკომენდაციების შესრულების მზადყოფნას, რომლითაც სახალხო დამცველი სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრისაკენ მოუწოდებდა. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის საპასუხო წერილში,

---

<sup>163</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 10 სექტემბრის რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიმართ, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/njcxo3>

<sup>164</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/nqx69z>; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/ofdvaa>

<sup>165</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 24 აგვისტოს რეკომენდაცია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორს, გიორგი კობრიძეს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fj9X1d>.

<sup>166</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 31 აგვისტოს რეკომენდაცია სს „თელასს“ მიმართ, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/isac9o>

<sup>167</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 29 ივლისის წინადადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/dcnpi9>


<sup>168</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 19 ივლისის ზოგადი წინადადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/s6juil>

<sup>169</sup> სახალხო დამცველის 2020 წლის 21 დეკემბრის რეკომენდაცია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/usm0tk>

<sup>170</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 7 დეკემბრის რეკომენდაცია სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/y9wwfd>

რომელშიც აღნიშნული იყოს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი მუშაობს საჯარო სამსახურში სტაჟირების გავლის საკითხების ახლებურად დარეგულირების მიმართულებით, არაფერი იყო ნათქვამი ანაზღაურებადი და დასაქმების შესაძლებლობაზე ორიენტირებული სტაჟირების საკითხის გათვალისწინების შესახებ.<sup>171</sup> არასაკმარის ფინანსურ რესურსებზე მითითებით, უარყოფითი იყო ასევე საქართველოს მთავრობის პასუხი სახალხო დამცველის მითითებაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის საპენსიო ასაკს მიღწევა, ყველა შემთხვევაში, არ გამოირიცხავდეს შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და ასაკობრივი პენსიის ერთდროულად მიღების შესაძლებლობას და საკითხი შესაბამისი პირის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით წყდებოდეს.<sup>172</sup>

საჯარო პირები - 16 რეკომენდაცია/ზოგადი წინადადება




საერთო ჯამში, საჯარო უწყებებმა 16-დან 5 გადაწყვეტილება შეასრულეს (31%), ამ ეტაპზე, შესრულების პროცესშია 3 გადაწყვეტილება (19%), 8 რეკომენდაცია/ზოგადი წინადადება კი, გაუზიარებელი დარჩა (50%). რაც შეეხება კერძო პირებს, 14-დან 5 გადაწყვეტილება შესრულდა (36%), 9 რეკომენდაცია/ზოგადი წინადადება კი, ფიზიკურმა თუ კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმა არ გაიზიარეს (64%).

<sup>171</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 20 ივლისის ზოგადი წინადადება საქართველოს პარლამენტს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/jflukw>

<sup>172</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 28 დეკემბრის რეკომენდაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/9uc3gg>



## კერძო პირები - 14 რეკომენდაცია/ზოგადი წინადადება



### დასკვნა

ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებულმა ვითარებამ უარყოფითი გავლენა მოხდინა თანასწორობის უფლებაზეც. გარდა იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, თანასწორობის უფლების ხელშესაწყობად და ინფორმაციის გასავრცელებლად, არ გაუტარებიათ შესაბამისი ღონისძიებები, ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დაწესებული ზოგიერთი რეგულაცია, სხვადასხვა დაუცველ ჯგუფს დისკრიმინაციულადაც მიემართებოდა.

მნიშვნელოვანია, რომ თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებული საკითხები სულ უფრო მეტად ხდება საზოგადოების მხრიდან დადებითი თუ კრიტიკული შეფასების საგანი. ასევე, გარკვეული დადებითი ტენდენცია შეინიშნება დისკრიმინაციის საკითხებზე სახალხო დამცველის რეკომენდაციების საჯარო თუ კერძო პირების მიერ შესრულების მხრივ. თუმცა, სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების ერთიანი მიდგომის გარეშე, ხელშესახები შედეგის მიღწევა, რთულად წარმოსადგენია. ყოველწლიურად, ლგბტ+ თემის თუ იეჰოვას მოწმეების წარმომადგენლების მიმართ ჩადენილ სამართალდარღვევებზე არაეფექტიანი რეაგირება, სოციალური დაცვის სისტემის უთანასწორო საფუძველზე წარმართვა, სამედიცინო და სხვა სერვისების მიწოდებისას ქალების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების გაუთვალისწინებლობა, განათლების სისტემაში თანასწორობის პრინციპის შესახებ ინფორმაციის არასათანადო იმპლემენტაცია თუ ოფიციალური პირების მიერ დისკრიმინაციის ხელშემწყობი სტერეოტიპების და სტიგმების გავრცელება, ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მიერ თანასწორობის მიღწევისკენ გადადგმული ნაბიჯები ფრაგმენტულია და, რეალურად, დისკრიმინაციის აკრძალვის მნიშვნელობა, ინსტიტუციურ დონეზე, სათანადოდ გააზრებული და დაგეგმილი არ არის. სწორედ ეს განაპირობებს, რომ ინდივიდუალურ გარემოებებთან დაკავშირებული მოწოდებების პარალელურად, სახალხო დამცველი, ყოველ საანგარიშო

პერიოდში, ერთსა და იმავე, სისტემური დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციებზე მიუთითებს.

## რეკომენდაციები

### საქართველოს მთავრობას:

- ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდებისას, საქართველოს მთავრობისა და კრიზისის სამართავად სპეციალურად შექმნილი ორგანოების (მათ შორის, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს) წევრებმა გააკეთონ მკაფიო განცხადებები დაუცველი ჯგუფების დისკრიმინაციის წამახალისებელი დამოკიდებულებებისგან დაცვის მიზნით;
- ახალი კორონავირუსის მართვის მიმართულებით დადგენილი ნებისმიერი შეზღუდვა და მისგან დაწესებული გამონაკლისი შემთხვევები შემუშავდეს არადისკრიმინაციული მიდგომით;
- ქვეყანაში პანდემიის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით განსაკუთრებული ღონისძიებების, ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების განსაზღვრისას, გათვალისწინებული იყოს უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელთა საჭიროებები. მათ შორის, უზრუნველყოფილი იყოს ხსენებული წესების შესახებ დროული ინფორმირება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის გასაგები ენითა და ფორმით;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის კანონიერ მემკვიდრეზე საკუთრებაში გადაცემისას, ბლანკეტურად არ გამორიცხოს ამ უფლების სუბიექტთა კატეგორიიდან ყველა მემკვიდრე, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის საპენსიო ასაკს მიღწევა ყველა შემთხვევაში არ უნდა გამორიცხავდეს შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და ასაკობრივი პენსიის თანადროულად მიღების შესაძლებლობას. სოციალური უზრუნველყოფის არსებული წესი იმგვარად უნდა შეიცვალოს, რომ სახელმწიფოსგან ამ ორი ფინანსური სარგებლის ერთდროულად მიღების საკითხი, შესაბამისი პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით წყდებოდეს;
- დროულად შეიმუშაოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ამ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობით. ამასთან, გეგმით განისაზღვროს გონივრული ვადები გაწერილი

ვალდებულებების შესასრულებლად; უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის მინიმალური სტანდარტების მონიტორინგი, ხოლო დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, გამოიყენოს შესაბამისი საწესდებო.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს:**

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ 2014 წლის 7 ოქტომბრის №01-74/ნ ბრძანების №5 დანართში შევიდეს ცვლილება, რომ სექსუალური ძალადობის შედეგად დამდგარი ორსულობის შემთხვევაში, დაფინანსებისთვის, და ორსულობის შესაწყვეტად საკმარისი იყოს სექსუალური ძალადობის საქმეზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი გამოძიება;
- არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები ხელმისაწვდომი გახადოს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისათვის საქართველოს მოქალაქეთა თანასწორად;
- კერძო დამსაქმებელთა ცნობიერების ასამაღლებლად, შეიმუშაოს სახელმძღვანელო, რომელშიც აისახება რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ვაკანსიის შესახებ განცხადებები, რა ტერმინების გამოყენება იწვევს დისკრიმინაციას და როგორ შეიძლება განცხადების მორგება სამუშაოს სპეციფიკაზე, დისკრიმინაციული შეზღუდვების გამოუყენებლად;
- მოამზადოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები საჯარო დაწესებულებებში ანაზღაურებადი და კარიერულ წინსვლაზე ორიენტირებული სტაჟირებების დასაწესებლად;
- ნორმატიულ დონეზე შემუშავდეს სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპები და რეგულაციები 10 წლამდე და 10 წლის ზემოთ 18 წლამდე არასრულწლოვანთა სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ;
- მოამზადოს საქართველოს ორგანულ კანონში, „შრომის კოდექსი“, შესატანი ცვლილებები, რომლითაც ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების პერიოდზე გასაცემი დახმარების/ანაზღაურების ოდენობა არსებითად დაუახლოვდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილ სტანდარტს და, ამავე დროს, განისაზღვრება შეზღუდვები, რომელთა ფარგლებშიც, დამსაქმებლები უფლებამოსილნი იქნებიან დაადგინონ ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო საშვებულებო ანაზღაურების მიღების წინაპირობები;

- მოამზადოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რომლითაც გათვალისწინებული იქნება სუროგატი დედის და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლების მიერ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო, შესაბამისად, შვებულებით სარგებლობის საკითხი.

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს**

- არსებული სოციალური თუ ჯანმრთელობის დაცვის შეღავათები და სახელმწიფო პროგრამები, მათ შორის, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ე.წ. „სტუდენტური პაკეტი“, ხელმისაწვდომი გახადოს დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების სხვა საფეხურების სტუდენტთა თანასწორად და მომავალში, სოციალური/ჯანმრთელობის დაცვის შეღავათების დაგეგმვისას და სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისას, იხელმძღვანელოს თანასწორობის პრინციპის დაცვით.

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს:**

- ერთიანი ეროვნული გამოცდების ეტაპზე გონივრული მისადაგების ვალდებულების სათანადოდ შესასრულებლად, ნორმატიულ დონეზე გაიწეროს გონივრული მისადაგების ღონისძიების განსაზღვრისას მხარესთან დიალოგის, გონივრული მისადაგების არჩევის, განსაზღვრის და შეცვლის ინდივიდუალური კომუნიკაციის პროცედურა;
- შეიტანოს ცვლილებები „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში, რომლითაც ტრანსგენდერი ქალებისათვის დადგინდება გამონაკლისი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისთვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულებიდან;
- უზრუნველყოს „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომელიც გამოცდების ორგანიზების პროცესში გაითვალისწინებს რელიგიურ საჭიროებებს.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:**

- ლგბტ+ თემის მიმართ ჩადენილი სამართალდარღვევების/ზე თავიდან აცილების და მათზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, გაატაროს ეფექტიანი პრევენციული და რეაქტიული ღონისძიებები;
- უზრუნველყოს განგრძობითი ტრენინგების ჩატარება, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, რომელთაც ევალებათ სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმეზე რეაგირება, რომლის მიზანია, მათ შორის, სექსუალური შევიწროების მსხვერპლთან კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება.

#### **სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს:**

- უზრუნველყოს სსიპ ლევან სამხარაულის ყველა ოფისში ქალი ექსპერტის/ექსპერტების დასაქმება, რომლებიც, სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, უფლებამოსილი იქნებიან, ჩაატარონ ექსპერტიზა;
- 10 წლამდე ასაკის სასამართლო-ფსიქიატრიული და კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისა და შედეგების შეფასების პროცესში არსებითად გაითვალისწინოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და საჭიროებები; თითოეული შემთხვევა შეფასდეს ინდივიდუალური და ფაქტობრივი გარემოებებისა და მახასიათებლების საფუძველზე.

#### **საქართველოს ეროვნულ ბანკს**

- შეიმუშაოს მარტივად განჭვრეტადი რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის კომერციული საბანკო მომსახურების მიღებას დისკრიმინაციის გარეშე, მომხმარებლის მოქალაქეობის მიუხედავად.

#### **სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს**

- დაიცვას შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი და საქმიანობა თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართოს.

#### **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს**

- იუსტიციის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირები გადაამზადოს რელიგიური ნეიტრალიტეტისა და ანტიდისკრიმინაციული სტანდარტების საკითხებზე.

#### **სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს**

- მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვით რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სისტემაში შემავალი ყველა სარეგისტრაციო სამსახურის ინფორმირების მიზნით, შეიმუშაოს



სახელმძღვანელო მითითებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების მიერ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესთან დაკავშირებით.

#### საქართველოს პროკურატურას

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტისთვის გაწეული საქმიანობის შესახებ წარდგენილ ანგარიშში, ასახოს ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით.